საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიერებით ბუჩთის გაფანა ყვეღა უკარჩისიბბაზე უსაძაგღესია.

პარასკევი, 6 მაისი. 2016 წ. №83 (7975), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვირთხების ბრბისკენ



გიორგი ვაშაძე რკოების პარტიას ქმნის საღორიის ტყეში...

③

უმადურობა თუ უმეცრება?!

რატომ ვჩქმალავთ დიად სახელს?

აბა, მაშ, რა უნდა ვუწოდოთ იმას, რომ ჩვენ საყვარელ თეატრს, რომელსაც თითქმის 90 წლის მანძილზე „თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი“ ერქვა, დღეს, მკვდრეთით აღმდგარს მისი მრავალწლიანი „დუმილის“ შემდეგ (უღრმესი მადლობა ამისათვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს!) აფიშებსა და პროგრამებზე ხან „საქართველოს სახელმწიფო ოპერა“, ხან კი — წარმოუდგენელი — „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი“ აწერია (!!!)

უვიცობის, უწიგნურობისა და უმეცრების უმსგავსო ნიმუშია!

ამ მიუტევებელი ფაქტის შესახებ არაერთგზის მივმართე თეატრის ხელმძღვანელობასა და კულტურის სამინისტროსაც.

შედეგი ნულოვანია!

რაო, დავივიწყოთ და თავიდან მოვიშოროთ ჩვენი უდიდესი კომპოზიტორის, გენიალური ზაქარია ფალიაშვილის სახელი?

ნებისმიერი ჭკუათამყოფელი ხომ მხოლოდ იამაყებდა და გაიხარებდა მისი ხსენებით!

ღმერთო, დიდებულო! გვიხსენ ასეთი უგუნურობისა და უმადურობისაგან!

როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს?!

გულბათ ტორაძე,
ხელოვნების ქურუმი

ზვიად ციკოლია:

ქართველო ახალგაზრდებო, იფიქრეთ არა სახინკლის გახსნაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ გაყიდოთ პროდუქცია მარსზე!

⑤

„პტარა საქართველო“ ავღანეთში

- ნატოს მთავარი შტაბი და მისი ქართული დაცვა
- ქართველი მედდები ბაგრამის ბაზაზე

④

ავღანეთში ნატოს სარდლობით მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი (ISAF) თუ „მტკიცე მხარდაჭერის“ (RSM) მისიების განმავლობაში მრავალეროვნულმა ძალებმა 4 000-მდე ჯარისკაცი დაკარგეს.

ირაკლი ღარიბაშვილი – „ქართული ოცნების“ სიაში?..

მმართველ გუნდში არ გამორიცხავენ, რომ „ქართული ოცნების“ სიაში ირაკლი ღარიბაშვილი მოხვდეს. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ სიის ფორმირებაში მონაწილეობას, სავარაუდოდ, ირაკლი ღარიბაშვილიც მიიღებს. მისი თქმით, ამ საკითხზე გაიმართება კონსულტაციები.

ხარძიანის წილებზე სამართლებრივი დავა დაიწყო

③

ტურისტს მეორედ ჩამოსვლაც რომ მოუნდეს...

⑦

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პრემიერი ჭუმსიშვილს მადლობას უხდის

პრემიერ-მინისტრი ეკონომიკის მინისტრს გადაცემა „არჩევანში“ საწარმობების შესახებ ინფორმაციის კარგად მიწოდებისთვის მადლობას უხდის და მინისტრებს მოუწოდებს საზოგადოებას ახალი საწარმოების შესახებ მეტი ინფორმაცია მიაწოდონ.

„ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას და ვფიქრობ, რომ კიდევ არაერთი საწარმო გაიხსნება. მე მოგიწოდებთ მთავრობის წევრებს, მაქსიმალურად ჩაერთოთ ამ კომპანიების თაობაზე ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანის პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენმა მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ თითოეული ასეთი პროექტი არის განსაზღვრული იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ძალიან ხშირად ალბათ საჭიროა უფრო მეტი ინფორმაციის მიტანა. მინდა მადლობა ვუთხრა ეკონომიკის მინისტრს, რომ მან საკმაოდ კარგად, ვიზუალურად წარმოადგინა რამდენიმე პროექტი. სამწუხაროდ, მას არ მიეცა საშუალება მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა. არ ვიცი, ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ მე მინდა, ყველა თქვენგანს მოგიწოდოთ, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ, მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას ასეთი პროექტების შესახებ“, — მიმართა პრემიერმა მთავრობის წევრებს მთავრობის სხდომაზე.

მთავრობა იწყებს ახმეტის, თუშეთის, მესტიისა და მულახის განვითარებისთვის ზრუნვას

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა სივრცითი მოწყობაა.

„ამ მიმართულებით ჩვენ დღეს ვიწყებთ ახმეტის, თუშეთის, მესტიისა და მულახის განვითარების ღონისძიებათა შესახებ გადასადგმელი ნაბიჯების განხილვას და პაკეტის დამტკიცებას, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და განვითარების, ასევე, ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით ვიწყებთ სივრცით-ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნას და ამ დოკუმენტზე მუშაობას, რაც გულისხმობს, რომ ამ მიმართულებების გეგმიური, კანონზომიერი განვითარება მოხდება, რათა ერთი მხრივ, მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის და იქ არსებული უნიკალური ეკოსისტემის შენარჩუნება და მეორე მხრივ, განვითარდეს ტურისტული პოტენციალი და არ მოხდეს სტიქიური განვითარება“, — აღნიშნა პრემიერმა.

ნარმანია საკრებულოში მისვლას დეკემბრამდე არ აპირებს

დავით ნარმანიას თქმით, საკრებულოში აუცილებლად მივა, ოღონდ დეკემბერში, როდესაც თბილისის ბიუჯეტის პროექტს წარადგენს.

„მივალ აუცილებლად, ოღონდ დეკემბერში, როგორც ეს ჩვენ პრაქტიკად ვაქციეთ. თბილისის მერი საკრებულოში წარდგება წელიწადში ერთხელ, კანონით დადგენილი წესით, დეკემბერში წარვადგენთ ბიუჯეტსაც და პასუხს გავცემთ ყველა იმ კითხვას, რაც დაისმება“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

დედაქალაქის მერის მისვლას რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით ითხოვენ.

პაატა ბურჭულაძე: დიდი მოთხოვნაა ხალხში, რომ ეს ფონდი გარდაიქმნას პოლიტიკურ პარტიად

— ამის შესახებ პაატა ბურჭულაძემ რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ განაცხადა. „საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელი რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

ბურჭულაძემ ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ბაღდათსა და ვანში „საქართველოს განვითარების ფონდის“ ოფისები გახსნა. ფონდის დამფუძნებელმა და ორგანიზაციის წევრებმა ადგილობრივებთან შეხვედრებიც გამართეს. მათ შეკრებილ მოსახლეობას ფონდის სამომავლო მიზნები და გეგმები გააცნეს. ორგანიზაციის დამფუძნებელმა ადგილობრივების პრობლემებიც მოისმინა და საზოგადოებას ამ პრობლემების მოგვარებისთვის ერთობლივი მუშაობა შესთავაზა.

◎ დარტყმა თამბაქოს ინდუსტრიაზე

ევროპაში ყველა ბრენდის სიგარეტი ერთნაირ შეფუთვაში გაიყიდება

ევროპულმა სასამართლომ (ECJ) უარი თქვა თამბაქოს კომპანიების სარჩელის განხილვაზე და კანონიერად მიიჩნია ხელისუფლების მოთხოვნა, რომლის თანახმად სიგარეტის რეალიზაცია სპეციალურ, უნიფიცირებული დიზაინის შეფუთვაში უნდა მოხდეს. ინფორმაციას Sky News-ი ავრცელებს.

ECJ-ის გადაწყვეტილებით, რომელიც ევროკავშირის უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა და რომლის გადაწყვეტილებებიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ევროკავშირის ტერიტორიაზე სიგარეტები უნდა გაიყიდოს სტანდარტულ კოლოფებში, რომელთა ფართობის 65%-ზეც უნდა იყოს განთავსებული გაფრთხილება მოწევის მავნებლობის შესახებ.

Sky News-ის შეფასებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად წერტილს უსვამს თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენელთა და ევროკავშირის ხელისუფლებებს შოროს დაპირისპირებას. ამასთან, ეს გადაწყვეტილება აუქმებს სამართლებრივ ბარიერებს იმისთვის, რომ 2020 წლიდან აკრძალულ იქნას მენთოლიანი სიგარეტები, ასევე ელექტრონული სიგარეტების რეკლამა.

ახალი წესები ძალაში 20 მაისიდან შედის, თუმცა, რითეილერებს უფლება აქვთ, დარჩენილი პროდუქცია ერთი წლის განმავლობაში გაყიდონ.

სიგარეტის ახალი კოლოფები შექმნილია სპეციალურად იმისთვის, რომ ახალგაზრდობა დაცული იქნას ამ მავნე ჩვევისგან. კოლოფები ერთნაირი იქნება, ყოველგვარი საფირმო ფერებისა და მწარმოებელთა დასახელების გარეშე.

ევროკავშირში იმედი აქვთ, რომ ეს ზომა საშუალებას მისცემთ, შეამცირონ მწეველთა რაოდენობა 2,4 მილიონი ადამიანით და აღკვეთონ ამ მიზეზით 700 ათასი ადამიანის ადრეული გარდაცვალება.

სიგარეტების სტანდარტულ კოლოფებში გაყიდვის ინიციატივას თამბაქოს გიგანტები — Philip Morris International-ი და British American Tobacco აპროტესტებდნენ.

აისახება თუ არა ეს სიახლე საქართველოზე? „თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელი“ გიორგი ბახტურიძე აცხადებს, რომ ეს თემა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან ჰარმონიზაციას უკავშირდება, შესაბამისად, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოზე აუცილებლად უნდა გავრცელდეს.

მისი თქმით, მიმდინარე წლის 20 მაისიდან საქართველოში ეს შეზღუდვა არ მოხდება, თუმცა, 2-3-წლიან პერიოდში ჩვენი ქვეყანა ამ პროცესს აუცილებლად უნდა შეუერთდეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ დრომდე არ აუმოქმედებია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარების კონტროლის მექანიზმი.

სოფო ქსოვრელი

◎ გაიაფებაზე არც იოცნებოთ!

ლარის გამყარება იმპორტიორებზე გავლენას ვერ ახდენს

წლეულს ეკონომიკური ზრდა შარშანდელზე უკეთესი იქნება, ლარიც თვალშისაცემად გამყარდება, მაგრამ ფასების კლებაზე გარანტიას ვერავინ იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო კუთხით ქვეყანაში ვითარება თვალდათვალ უმჯობესდება, იმპორტიორები ფეხს ითრევენ და სხვადასხვა მიზეზების ძიებაში არიან.

„გალტ ენდ თაგარტის“ გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის ინფორმაციით, ეკონომიკის ზრდა წელს საქართველოში 4%-ს გადააჭარბებს და შესაძლოა, 5%-საც მიაღწიოს. მისი შეფასებით, დადებითი ტენდენცია უკვე გამოკვეთილია, ეკონომიკა შემოტრიალდა, როგორც რეგიონის ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც, სადაც ზრდა უფრო დიდი იქნება.

გაჩეჩილაძემ აქცენტი გააკეთა ტურიზმზე და ვიზიტიორების ზრდის დადებითი დინამიკაზე, რაზეც დადებით გავლენის მოხდენა შეუძლია რუსეთ-თურქეთის შორის დაძაბულ ურთიერთობას.

„იმ 3,5 მილიონი რუსი ტურისტიდან, რომელიც თურქეთში მიდიოდა და 1 მილიონიდან, რომელიც ეგვიპტეში მიდიოდა, მხოლოდ დამატებით 500 000 ტურისტი რომ ჩამოვიდეს რუსეთიდან, ეს საკმარისი იქნება, რომ მხოლოდ ტურიზმის ხარჯზე, ეკონომიკა 2,5%-3%-ით გაიზარდოს. გარდა ამისა მოსალოდნელია სხვა კუთხითაც

ზრდა — სავალუტო შემოდინებები და ლარის გამყარება“, — ამბობს გაჩეჩილაძე.

ბანკირი მიიჩნევს, რომ დღეს ლარის უფრო მკვეთრი გამყარება არ არის კარგი, ამიტომ ეროვნულმა ბანკმა მეტი უცხოური ვალუტა უნდა შეისყიდოს. „მთლიანობაში, შესაძლოა ძალიან კარგი წელი მივიღოთ, სადაც რეზერვები შეგვევსება 300-დან 500 მილიონ დოლარამდე, თუ ლარი არ გაამყარეს ზედმეტად, რაც ჩემი აზრით, შეცდომა იქნება“, — აღნიშნავს ბანკირი.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ეკონომისტი ბესო ნამჩავაძეც სამომავლოდ ლარის გამყარებას პროგნოზირებს, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის გამოწვეული.

„უახლოეს დღეებში ლარი კიდევ გამყარდება. რაც შეეხება გრძელვადიან პროგნოზებს, ცალსახად საუბარი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ზოგადად, მასი არ არის გამორჩეული თვე, თუმცა, კონცერტებია დაგეგმილი, რაც ტურისტების რაოდენობას გაზრდის. რომ დავაკვირდეთ პროცესებს ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და რუსეთში შედარებით დასტაბილურდა სიტუაცია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოდან ექსპორტი გაიზრდება. ტენდენციები გვიჩვენებს, რომ ლარის კურსი კიდევ უფრო გამყარდება“, — აღნიშნავს ბესო ნამჩავაძე.

მიუხედავად ამისა, ეკონომისტი ფიქრობს, რომ ლარი 2-იან ნიშნულს ზაფხულშიც ვერ ჩამოსცდება. „ლარის ასე სწრაფად გამყარება კარგი არ არის და ეროვნული ბანკი არ მისცემს და არც უნდა მისცეს მას სწრაფი გამყარების საშუალება, რათა უცებ ექსპორტი არ შემცირდეს და იმპორტი არ გაიზარდოს. მთავარი და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ეროვნული ბანკი ვალუტის გამყარებას ხელს შეუშლის, არის ის, რომ ეს იქნება სწრაფი, მნიშვნელოვანი გამყარება, მაგრამ დროებითი პროცესი“, — აღნიშნავს ნამჩავაძე.

დღესდღეობით ყველა თანხმდება, რომ კურსის გამყარება შეუქცევადი პროცესია. ეს ჯერჯერობით ვერ ირწმუნეს იმპორტიორებმა, რომლებიც გაიაფებისგან ფეხს ითრევენ. ისინი პროდუქტებზე ფასის შემცირებას თავს არიდებენ და სხვადასხვა მიზეზების ძიებაში არიან.

საკვები პროდუქტების იმპორტიორი კომპანია „გრანდის“ ხელმძღვანელი ივა ჭყონია „კომერსანტთან“ ამბობს, რომ ლარის გაუფასურების პარალელურად ფასების გადახედვა ორჯერ მოუწიათ, ერთხელ, როდესაც კურსი 2,0-მდე ავიდა და შემდეგ როდესაც 2,2-ზე დაფიქსირდა. ჭყონია ამბობს, რომ დღეის მდგომარეობით ფასები არსებული კურსის შესაბამისად აქვს დაფიქსირებული.

სამომხმარებლო ფასების შემცირებას არ ელოდება კიდევ ერთი იმპორტიორი კომპანიის „ჯიდი ჰოლდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უტა მაზიაშვილი. მისი თქმით, მასობრივი გაიაფება არ მოხდება, თუმცა, გარკვეულ პროდუქტებზე, შესაძლოა, ფასი გადაიხედოს. მაზიაშვილი ამბობს, რომ ძალიან ბევრმა კომპანიამ კურსის ზრდის პროცესში კომპენსაცია მარკეტინგული ბიუჯეტის შემცირების ხარჯზე გააკეთა. კურსის შემცირება 30%-ით მოხდა, ინფლაცია კი 6% იყო. შესაბამისად, ლარის გაუფასურება ფასებზე სრულად არ ასახულა, ამიტომ ახლა ვერც გაიაფება მოხდება.

გეჟა დანელია

ვირუსები მარეგისან

გიორგი ვაშაძე რკოების პარტიას ქმნის საღორიის ტყეში...

ვინ იფიქრებდა, რომ მამალი ნაცი, ცნობილი ლაყაფისტი და დემაგოგი გიორგი ვაშაძე საკუთარ გუნდს უღალატებდა და ნაციონალურ მოძრაობას დატოვებდა. დატოვებდა არა ჩუმად, მშვიდად, ზედმეტი კომენტარების გარეშე, არამედ პირიქით, ხმაურიანად, ლანძღვა-გინებით, ნაციონალების სულისა და იდეოლოგიის სრული გაშიშვლებითა და გამომზეურებით...

წინასაარჩევნოდ ვის, თუ არა ნაციონალებს, ამ ცოდვილ ნეოფაშისტებს სჭირდებათ გუნდურობა და ერთობა, წარსული შეცდომებისა თუ აშკარა დანაშაულების ჩაფარცხვა, ანტიქართული საქმეების კარგად წარმოჩენა, თუმცა, „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?!“ და შედეგმაც არ დააყოვნა. გიორგი ვაშაძემ ნაციონალები ქაჯურად, ზედმეტი ხმაურით დატოვა. ის არ იყო ამ პარტიის უბრალო, რიგითი სახე, პირიქით, ერთ-ერთი აქტიური, სულმოუთქმელი მოლაყბე გახლდათ, მაგრამ... ამჯერად ვაშაძის თქმულმა „სენსაციურმა“ სიტყვამ პარლამენტში, შოკში ჩააგდო, როგორც მისი კოლეგები, ისე საზოგადოება. ვინ არ იცოდა, რას წარმოადგენდნენ ნაციონალები, რა მიზანს ემსახურებოდა მათეული „საქვეყნო ინტერესები“, მაგრამ პარლამენტის ტრიბუნიდან ყველაფრისმკადრებელი ნაცის გახმიანებული „დაფარული სიმართლე“ რომ წამოტივტივდა, ესეც ერთგვარი საინტერესო პოლიტიკაა.

„ნაციონალური მოძრაობის“ დახურული, კაბინეტური სისტემა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ივანიშვილის მავნებლური მმართველობის მოკავშირეა და პარტიის ერთი მცირე ჯგუფის პერსონალურ ინტერესებს ემსახურება“, — განაცხადა ვაშაძემ საზოგადოდ დანიშნულ პრესკონფერენციაზე პარლამენტში. რა თქმა უნდა, ნაცთა მძლე ივანიშვილს რომ არ დაუკავშირონ ესა თუ ის მოვლენა, ეს ხომ გამორიცხულია, თორემ, რა შუაშია ივანიშვილი? ასეთი რა შური და ბოღმა ამოძრავებთ ზნეკეთილი, ჩუმად, უხმაუროდ დიდი ეროვნული საქმეების მკეთებელი პიროვნების მიმართ, რომ ოთხი წელიწადია, მისი სახელი პირზე აკერიათ?!. ალბათ, ამაში არის კიდეც ლოგიკა: დღეს რომ ნაციონალური მოძრაობის რღვევის პროცესი შეუქცევადი გახდა, სწორედ რომ ბიძინა ივანიშვილის თმენის ნიჭის დამსახურებაა... თუ სხვა არაფერი, ეს ღვაწლი მაინც უნდა „დაუფასოს“ მას ნაციონალებმა და მათმა მხარდამჭერებმა.

თუმცაღა, სად მოძალადე მიშა, მისი აგრესიული გუნდი და სად ბიძინას მოთმინების დიპლომატია.

და მაინც, ვინ არიან ნაციონალები? როგორც გიორგი ვაშაძე განმარტავს, **„ამ კაბინეტურ მმართველობას თავისი სახელი და გვარები აქვს: გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გოკა გაბაშვილი და მათ ფასადად ქცეული დავით ბაქრაძე“.**

ვიღაცას ეს „ჩაშვება“ გაუკვირდებოდა?! ეს ისედაც ხომ ცხადი იყო, გიორგი ვაშაძევ, მაგრამ რატომ აქამდე არ ამბობდი ამას, ან ახლა რატომ გახდა ეს ყველაფერი შენთვის მოსაწყენი და მიუღებელი?! ამიტომაც დაამთავრა ნაციონალების ცხრაწლიანი პარპაში სახელმწიფო მმართველობაში ქართველმა საზოგადოებამ და ადგილი ოპოზიციურ პარტიაში მიუჩინა (ოპოზიციურ თუ ტენდენციურ, ბოლომდე მოძალადე პარტიაში, ესეც საკითხავია!).

* * *

„ვაშაძის ეს გადაწყვეტილება არის გამიზნული ქმედება მიშა სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ და მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის პოლიტიკურ ინტერესს ემსახურება“, — ასე აფასებს მთლად ამაზრზენი ნაცი ნუგზარ წიკლაური ვაშაძის ნაბიჯს.

თუმცა, თავად გიორგი ვაშაძე ისეთი გამწარებული ლანძღავს „ივანიშვილის მთავრობას“, რომ გეგონება წყევლა-კრულვას უგზავნის იმის გამო, რა ხვედრიც ახლა მას ნაციონალებმა არგუნეს საპარლამენტო სიის ათეულში ჩაუსმელობის გამო (ყოველ შემთხვევაში, ვაშაძის ყოფილი თანაგუნდელები მის ამ ნაბიჯს სიაში სასურველ პოზიციაზე ჩაუსმელობას უკავშირებენ!).

„აბსოლუტურად ყველგან არის უპერსპექტივობისა და უუნარობის განცდა. ეს ყველაფერი იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოს ივანიშვილის ჯიბის მთავრობა მართავს. ჩვენი მიზანია, მოქალაქეებს გავუჩინოთ პერსპექტივა... ამისთვის საჭიროა, ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის დასრულება. მსგავსი მოლოდინი ჰქონდა საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, ჩვენს ამომრჩეველს, რომლებიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ ელოდნენ ინოვაციებს, სიახლეებს, ცვლილებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“, — ფილოსოფოსობს ცალტვინა გიორგი ვაშაძე, რომელსაც რატომღაც ახლაღა გაახსენდა, რომ მისი თანაპარტიელები შევარდნაძის მთავრობის მოხელეები იყვნენ და რომ მათთვის სულაც არ იყო უცხო ხილი კორუფცია და მომხვეჭელობა, ტყუილი და გაუტანლობა... რას იზამ, რას არ იტყვის ბარისთავა ნაცის ენა.

„უარს ვამბობ გარანტირებულ ადგილზე მომავალ პარლამენტში!“ — „იმუქრება“ ვაშაძე. მაგრამ ნაცების სუპერლამაზმანი ირმა ნადირაშვილი საპირისპიროს ამტკიცებს: **„არანაირი გარანტირებული ადგილი გიორგი ვაშაძეს სიაში არ ჰქონდა (რაზეც ვითომ უარი თქვა). ის ადგილისთვის იბრძოდა და ამიტომაც წავიდა!“** ამ აზრს იზიარებს და ეთანხმება კიდევ ერთი დემაგოგი ნაცი სერგო რატიანი. **„ვინც საკუთარი ამბიციების და მითუმეტეს, ათეულში არყოფნის გამო ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, ის ცდილობს, ივანიშვილის წისქვილზე დაასხას წყალი. მაგრამ ეს ივანიშვილს ვერ უშველის,** ჩვენ მას ქართველ ხალხთან ერთად ოქტომბრის არჩევნებში დავამარცხებთ!“ — სიზმარს ჰყვება რატიანი!

ოქტომბრის არჩევნები, რომ ტესტი იქნება ნაციონალებისთვის, ეს აქედანვე ცხადია (რა თქმა უნდა, თუ იქამდე არ დანაკუწდნენ ნაწილ-ნაწილ). „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მეციხოვნე ზვიად ძიძიგური კი ამბობს, რომ პარტია ერთი კაცის პრინციპით იმართება და ნაციონალური კრიზისი გარდაუვალიაო, მაგრამ ის „ერთი კაცი“, როგორც ჩანს, არც ისეთი „მაგარია“, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ. **„ეს ერთი კაცი არის მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ დედიმისის შვილია და „ნაციონალურ მოძრაობაში“ რამე გაბედოს მისი სიტყვის გარეშე“,** — ამბობს ძიძიგური.

როგორც ჩანს, ბედავენ... და ჯერ სადა ხართ, ბატონო ზვიად, არჩევნებზე დამარცხების შემდეგ ნაცები აუცილებლად დაიშლებიან „მარტივ მამრავლებად“!

და ბოლოს, აშკარაა, რომ ნაციონალური ვირთხები გარბიან, ე. ი. ბევი იძირება! ერთ-ერთი ფეიესბუქმოხმარეებლისა არ იყოს, ვინ იცის, რას იზამს გიორგი ვაშაძე, ნეტა, რკოების პარტიას ხომ არ შექმნის საღორიის ტყეში?!

გირჩების პარტია ხომ გვაძვს?!.

ნია ფიფია

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — ხარძიანის წილებზე სამართლებრივი დავა დაიწყო

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ კუს ტბის წილების იძულებით დათმობის მიზნით, ბიზნესმენ ბესარიონ ხარძიანის წამებისა და ქონების გამოძალვის ფაქტზე, გიორგი უდესიანისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორის ალექსანდრე მუხაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წელს გიორგი უდესიანი და ბესარიონ ხარძიანი შპს „კუს ტბა კალასა“ და შპს „კუს ტბა პალასის“ პარტნიორები გახდნენ. 2011 წელს გიორგი უდესიანმა ბესარიონ ხარძიანისა და მისი ოჯახის წევრებზე გაფორმებული წილის უკანონოდ დაუფლებისა და ქონებრივი სარგებლის მიღების, ასევე ხსენებული კომპანიებიდან იძულებით გაყვანისა და შესაბამის ქონებებზე სრული კონტროლის მოპოვების მიზნით შეიმუშავა და განახორციელა დანაშაულებრივი გეგმა.

2011 წელს ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის დაკავებული ბესარიონ ხარძიანი მოთავსებული იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 საპყრობილეში. გიორგი უდესიანი დანაშაულებრივი გეგმის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაუკავშირდა აღნიშნული საპყრობილის იმჟამინდელ დირექტორს ალექსანდრე მუხაძეს, რომელთანაც გააჩნდა მეგობრული ურთიერთობა და დაავალა პატიმარ ბესარიონ ხარძიანზე ისეთი სახის ზემოქმედება მოეხდინა, რაც ამ უკანასკნელს იძულებულს გახდიდა მისი და ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ბიზნესწილები დაეთმო.

მიღებული დავალების სისრულეში მოყვანის მიზნით, ალექსანდრე მუხაძის მითითებით, პატიმარ ბესარიონ ხარძიანის საკაანში მოთავსებული იქნა ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილი ორი პატიმარი, რომლებსაც უშუალოდ ალექსანდრე მუხაძისგან მიღებული ჰქონდათ დავალება, ნებისმიერი მეთოდით იძულებული გაეხადათ ბესარიონ ხარძიანი დაეთმო კომპანიების — „კუს ტბა კალასა“ და „კუს ტბა პალასის“ წილები. აღნიშნული პირები ორი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ახორციელებდნენ ბესარიონ ხარძიანზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას, სცემდნენ და აიძულებდნენ ქონება გიორგი უდესიანის სასარგებლოდ დაეთმო, რასაც ალექსანდრე მუხაძის დავალებით ასევე ხელს უწყობდნენ საპყრობილეს თანამშრომლები.

ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილი პატიმარი ბესარიონ ხარძიანს სისტემატურად სთხოვდა ეთამაშა აზარტული თამაში, რაზედაც იგი წინააღმდეგი იყო. საბოლოოდ, რამდენიმე დღიანი ზეწოლის შემდგომ, ბესარიონ ხარძიანი დაიყოლია თამაშზე და მოუგო მას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ რესტორანში დაპატიჟება. მოგვიანებით კი განუცხადა, რომ მათი შეთანხმება გულისხმობდა არა რესტორანში დაპატიჟებას, არამედ რესტორნის, როგორც ობიექტის საკუთრებაში გადაცემას. შემუშავებული გეგმის მიხედვით, მეტი დამაჯერებლობისთვის ბესარიონ ხარძიანისთვის შეთავაზებული იქნა ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ წერილის გაგზავნა დავის გადასაწყვეტად. აღნიშნული წერილი გადაცემული იქნა ალექსანდრე მუხაძისთვის.

წერილის შედგენიდან რამდენიმე დღეში, ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილმა პირმა ბესარიონ ხარძიანს გადასცა საპასუხო წერილი, სადაც თითქოსდა ე.წ. „კანონიერი ქურდების“ გადაწყვეტილებით ბესარიონ ხარძიანის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა 800 000 აშშ დოლარს. გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ბესარიონ ხარძიანი თანახმა იყო გადაეფორმებინა მის საკუთრებაში არსებული რესტორანი, თუმცა ვინაიდან ბესარიონ ხარძიანის წამების მიზანს წარმოადგენდა ბიზნესწილების დათმობა გიორგი უდესიანის სასარგებლოდ და არა რესტორნის, როგორც ობიექტის გადაცემა, ალექსანდრე მუხაძის დავალების შესაბამისად, ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილმა პირმა უარი განაცხადა რესტორნის ჩაბარებაზე და მოსთხოვა ბესარიონ ხარძიანს გიორგი უდესიანის სასარგებლოდ წილების გადაფორმება, ასევე განუცხადა, რომ აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას ემუქრებოდა გაუპატიურება.

საპატიმრო დაწესებულებაში ბესარიონ ხარძიანზე ზემოქმედების პარალელურად, გიორგი უდესიანმა ბესარიონ ხარძიანის ძმაზე, გიორგი ხარძიანზე განახორციელა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. იგი საკუთარ ოფისში შეხვდა გიორგი ხარძიანს, რომელიც შპს „კუს ტბა კალას“ და შპს „კუს ტბა პალასის“ წილებს ფლობდა. უდესიანმა გიორგი ხარძიანი თანმხლებ პირებთან ერთად სცემა, რა დროსაც დაემუქრა, რომ თუ ხარძიანების ოჯახი კუს ტბის წილებს მის სასარგებლოდ არ დათმობდა, თავად შევიდოდა ციხეში და ბესარიონ ხარძიანის გაუპატიურებას დაესწრებოდა, ხოლო გიორგი ხარძიანს ან მოკლავდნენ, ან მასაც ციხეში შეაგდებდნენ და გააუპატიურებდნენ.

ინტენსიური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, პატიმარი ბესარიონ ხარძიანი და მისი ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ ერთ-ერთი ნათესავის სახელზე გაეცათ მინდობილობები და გიორგი უდესიანისთვის დაეთმოთ კუს ტბის (შპს „კუს ტბა კალა“ და შპს „კუს ტბა პალასი“) წილები. გამოძალული ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 5 მილიონ ლარზე მეტი.

გამოძიება გრძელდება გიორგი უდესიანის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,1441 მუხლის მე-2 ნაწილითა და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ხოლო ალექსანდრე მუხაძის მიმართ — 1441 მუხლის მე-2 ნაწილითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პატარა საქართველო ავღანეთში

ეს წერილი ეძღვნება ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მყოფ ქართველ სამხედროებს, კაცებს და ქალებს, მათ რთულ, სახიფათო, მრავალფეროვან და მრავალწლიან სამშვიდობო მისიას, რომელიც 7 წლის განმავლობაში 15 ათასმა ქართველმა სამხედრომ გაიარა.

დღეს საქართველოდან ავღანეთში გაგზავნილი 861 სამხედრო მოსამსახურე ქაბულის, ბაგრამისა და მაზარ-ი-შარიფის მრავალეროვნულ ბაზებზეა გადანაწილებული.

ნატოს მთავარი შტაბი და მისი ქართული დაცვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების 42-ე ბატალიონის „ალფას“ ასეულს ქაბულის მწვანე ზონაში მდებარე ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მთავარი შტაბისა და აქ ჩასული სტუმრების — როგორც ამერიკელმა ოფიცერმა უწოდა, ძალიან მნიშვნელოვანი სტუმრების — დაცვა ევალება.

ამ ბასტიონს რამდენიმე ფენად აქვს შემოვლებული ბეტონის ფილებით აგებული მაღალი გალავანი, რომელმაც, თვითმკვლელი მოიერიშის თავდასხმის შემთხვევაში, 900 კილოგრამამდე ტროტილის ეკვივალენტის აფეთქებას უნდა გაუძლოს.

სხვათა შორის, 20 აპრილს ნატოს მთავარი შტაბიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმული ავტომანქანით მოაწყო მძლავრი აფეთქება, რომელსაც, სულ ცოტა, 20 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

— ჩვენი სათვალთვალო კოშკიდან ვხედავდი, მაშვლებს ნანგრევებიდან როგორ გამოჰყავდათ დაჭრილები, როგორ აგროვებდნენ დახოცილთა სხეულის ნაწილებს. ჩვენმა მებრძოლებმა სასწრაფოდ გააძლიერეს დაცვა შტაბის გარე პერიმეტრზე, — მიყვება საქართველოს შეიარაღებული ძალების 42-ე ბატალიონის „ალფას“ ასეულის მეთაური, კაპიტანი **კახა შპეტიშვილი.**

სერჟანტი, 200-ზე მეტი პატრულის სტაჟით

თუმცა ოპერატიული ვითარება და, შესაბამისად, ამოცანებიც განსხვავებული აღმოჩნდა ბაგრამში მდებარე ნა-

თამარ კიკნაძე, კახა შპეტიშვილი

ტოს კოალიციური ძალების მთავარ საავიაციო ბაზაში, სადაც სრული შემადგენლობით იმყოფება შეიარაღებული ძალების 52-ე ბატალიონი, ანუ ხუთასი ჯარისკაცი. ქვედანაყოფის 50 პროცენტი სამშვიდობო მისიით ორ-სამჯერ არის ნამყოფი.

სერჟანტ ლევან მალიაშვილისთვის კი აპრილიდან მეოთხე მისია დაიწყო. გამოცდილი სამხედროს ნამსახურების ნუსხაშია 230-მდე ბაზისგარე საბრძოლო პატრულში მონაწილეობა. ჯარისკაცი ოცნებობს იმ დროზე, როდესაც საერთაშორისო კოალიციაც ისე დადგება საქართველოს გვერდით, როგორც ქართველი ჯარისკაცები დგანან მათ გვერდით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში.

რატომ იზიდავს ექსტრემისტებს ბაგრამის ბაზა

გასულ საუკუნის 80-იან წლებში, ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში აგებული საავიაციო ბაზა 2001 წლიდან ამერიკის სარდლობით მოქმედმა ნატოს კოალიციამ კიდევ უფრო გააფართოვა, უზრუნველყო ულტრათანამედროვე ლოგისტიკით, აღჭურვა დაზვერვის რადარული, მიწისზედა და საჰაერო (დირიჟაბლების) სისტემით, შემოავლო 800 კილოგრამი ტროტილის აფეთქებაზე გათვლილი რკინა-ბეტონის კედლები და 25 კილომეტრი რადიუსის მქონე ტერიტორია, სადაც 20 ათასზე მეტი სამხედრო და სამოქალაქო პირი მსახურობს, კოალიციური ძალების მთავარ საავიაციო ბასტიონად აქცია. სხვათა შორის, სწორედ ბაგრამის ბაზაზე მდებარეობს საიდუმლო ციხე, რომელშიც საშიში დამნაშავეები, ტერაქტებში ბრალდებული ექსტრემისტები და მათთან კავშირში ეჭვმიტანილი პირები არიან იზოლირებული.

შესაბამისად, თალიბანის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეც სწორედ ბაგრამის ბაზა და მასზე განლაგებული ნატოს სამხედრო ავიაციაა. ჩინური თუ რუსული წარმოების ყუმბარები, რომლებსაც ექსტრემისტები თვითნაკეთი დანადგარებიდან უშენენ, ბაგრამის ბაზას პრაქტიკულად არანაირ ზიანს არ აყენებს. მაგრამ ბაზისგარე პატრულირების დროს მახლობლად მდებარე ბაღებში ექსტრემისტები ხშირად აწყობენ ჩასაფრებებს, უშენენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ცეცხლს სამხედრო პატრულს. სწორედ ასეთი ჩასაფრების დროს დაიღუპა 2015 წლის სექტემბერში რიგითი ყულჯანიშვილი, მეტსახელად „სმაილა“, რომელიც დაჭრილი თანამებრძოლის, სერჟანტ როსტბაიას გადარჩენას ცდილობდა.

ნატოს საავიაციო ბაზაზე ქართული ქვედანაყოფის შტაბის წინ კი დარჩა მემორიალური ქვა წარწერით. **„ვასილ ყულჯანიშვილმა თავი გაწირა სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად და ამით უკვდავყო საკუთარი სახელი“,** — გვამცნობს მარმარილოს სადა ქვაზე ინგლისურად გაკეთებული წარწერა. ასეთი მემორიალებით მოფენილია არა მხოლოდ ბაგრამის, არამედ ნატოს კოალიციური ძალების ქაბულის, მაზარ-ი-შარიფის, ჰერათის, ლაგრამისა და ყუნდუზის ბაზები. ავღანეთში ნატოს სარდლობით მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი (ISAF) თუ „მტკიცე მხარდაჭერის“ (RSM) მისიების განმავლობაში მრავალეროვნულმა ძალებმა 4 000-მდე ჯარისკაცი დაკარგეს.

გასული წლის დეკემბერში თალიბანის ალყაში აღმოჩნდა ამერიკული სამხედრო პატრული. ბაგრამის საავიაციო ბაზიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით მოძრავ კოლონას თავს დაესხა თვითმკვლელი. რამდენიმე ამერიკელი სამხედრო ადგილზე დაიღუპა. იყო საშიშროება, რომ დაჭრილებს იერიშზე გადასული თალიბები დახოცავდნენ. ბაგრამის საავიაციო ბაზის ხელმძღვანელობამ შემთხვევის ადგილისაკენ გასვლა საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სწრაფი რეაგირების ჯგუფს დაავალა, გვიამბობს ამ ჯგუფის სამხედრო თარჯიმანი, უმცროსი სერჟანტი კახა გაზდელიანი.

კახა გაზდელიანთან ინტერვიუ ბაგრამში იმ დროს ჩავწერეთ, როდესაც ის და მისი თანამებრძოლები სამშობლოში გამგზავრების წინ, სამხედრო თვითმფრინავის მოლოდინში, ბოლო წუთებს ითვლიდნენ.

ეროვნული გვარდიელების ჯგუფთან ერთად, 29 აპრილს, ავღანეთში 7 თვის მისიის დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის 22-ე ბატალიონი. როტაციის დასრულებას რამდენიმე დღე დასჭირდა. ბოლო ასეულთან ერთად სულ ბოლოს ავღანეთი დატოვა ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მანუჩარ ბარბაქაძემ.

ქართველი მედდები ბაგრამის ბაზაზე

ამჟერად ბაგრამში, როგორც ზემოთ ითქვა, ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ ფარგლებში სამშვიდობო მისიას 52-ე ბატალიონი ასრულებს. ქვედანაყოფში რამდენიმე ქალი მსახურობს. მათ შორის არის სამხედრო მედდა, სვეტლანა ლაფაჩი, რომელიც ქართული შტაბის მახლობლად მდებარე მცირე სამედიცინო პუნქტში მუშაობს თავის კოლეგებთან ერთად.

ეს ახალგაზრდა ქალი სამი ჯარისკაცის დედაა. ხოლო მისი უფროსი შვილი, თავის ქვედანაყოფთან ერთად, ზუსტად ერთი თვის წინათ დაბრუნდა შინ ავღანეთიდან. ფაქტობრივად, დედამ შვილი ჩაანაცვლა ბრძოლის ველზე.

სვეტლანა ლაფაჩთან ერთად ბაგრამის ბაზაზე მდებარე ქართული ქვედანაყოფის პოლიკლინიკაში შევხვდი კიდევ ერთ სამხედრო ქალს, კაპიტან მაკა ყურფარაშვილს, რომელიც სტომატოლოგიურ კლინიკაში ღებულობს პაციენტებს და ორი კვირის განმავლობაში უკვე 60-ზე მეტ ქართველ ჯარისკაცს თუ ბაზაზე დასაქმებულ ადგილობრივ ავღანელს ჩაუტარა მკურნალობა.

ჩვენი საუბრიდან რამდენიმე საათში მაკა გაეშურა ბაგრამის ბაზაზე ქართველი ჯარისკაცების ხელით აშენებულ წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებელ ეკლესიაში, რათა სააღდგომო წირვის ჩატარებაში დახმარებოდა ქვედანაყოფის სამხედრო მოძღვარს მამა ზაქარიას.

გენერალ კაპანაძის მისია

30 აპრილია, საღამოს 7 საათი. ქაბულიდან პოლკოვნიკ ალექსანდრე კიკნაძისგან ვღებულობთ ცნობას, რომ ამ დღესასწაულის მოსალოცად ჩამოვიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ვახტანგ კაპანაძე, რომელიც თავად დაესწრება წირვასა და ლიტანიობას ქართულ ეკლესიაში. სხვათა შორის, აღდგომას დაემთხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების დაარსების 25-ე წლისთავი.

გენერალი ვახტანგ კაპანაძე, დელეგაციასთან ერთად, სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ქაბულში, ბაგრამსა და მაზარ-ი-შარიფში, სადაც სამი ქართული ქვედანაყოფი ასრულებს სამშვიდობო მისიას. გენერალი კაპანაძე ბაგრამში, სადაც ყველაზე მეტი, 500 ქართველი ჯარისკაცი იმყოფება, 30 აპრილს დაესწრო სააღდგომო წირვას.

დრო ვიხელთე და გენერალს ვთხოვე შეეფასებინა უსაფრთხოების გარემო ავღანეთში, სადაც პატარა საქართველოს ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს აშშ-ის შემდეგ, რაც, ზოგიერთი პროდასავლელი მიმომხილველის თვალში, ზედმეტად ექსტრავაგანტურ ნაბიჯად აღიქმება.

სამხედრო მოძღვარი ბაგრამის ბაზაზე

სამხედრო მოძღვარი აპრილის დასაწყისში ჩამოჰყვა საქართველოს შეიარაღებული ძალების 52-ე ბატალიონს, რომელიც ნატოს ბაგრამის საავიაციო ბაზის შიდა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობს. მამა ზაქარია ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ანაფორას ატარებს, ბაზის ტერიტორიაზე კი, ჩვეულებრივ, საველე სამხედრო ფორმა აცვია, რომელიც საკმაოდ უხდება. როგორც გაირკვა, ყოველდღიური ლოცვების გარდა, სამხედრო მოძღვარი ჯარისკაცებთან ერთად

სამხედრო მოძღვარი მამა ზაქარია

ვარჯიშობს, დარბის საშუალოდ 5-10 კილომეტრს და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში, მათ შორის, ფეხბურთისა და კალათბურთის ამხანაგურ მატჩებშიც მონაწილეობს. სამხედრო მოძღვარი ფიქრობს, რომ ფიზიკური ვარჯიში და ღვთისმსახურება არათუ არ გამორიცხავს, არამედ ჰარმონიულად ავსებს ერთმანეთს.

მამა ზაქარიამ 30 აპრილს, შუაღამის 12 საათზე, საღამოს ლოცვა და ლიტანიობა ჩაატარა ნატოს საავიაციო ბაზის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ სალოცავში, სადაც აღდგომის ღამით ანთებული სანთლებით ერთმანეთის გვერდით იდგნენ ქართველი, ამერიკელი, ჩეხი, სერბი და რუმინელი მართლმადიდებელი ჯარისკაცები.

ქართველმა სამხედრო მოძღვარმა სააღდგომო ლოცვის დროს, ტრადიციულად, მოიხსენია ყველა, 31-ვე, ქართველი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც სამშვიდობო მისიის დროს დაიღუპნენ ავღანეთის მიწაზე.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

ზვიად ციკოლია:

ქართველო ახალგაზრდებო – იფიქრეთ არა სახინკლის გახსნაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ გაყიდოთ პროდუქცია მარსზე

გვესაუბრება სამრეწველო და სატრანსპორტო დიზაინერი ზვიად ციკოლია.

— დიზაინის შესაქმნელად გიმუშავიათ არაერთ ცნობილ საერთაშორისო კომპანიასთან, საინტერესოა, რამდენად ხშირად გქონიათ საქმიანი ურთიერთობა ქართულ კომპანიებთან, როგორ შეაფასებდით დიზაინთან დაკავშირებით მათ მიდგომას?

— ამ შემთხვევაში, გამოვყოფდი „დელტას“, ისინი უცხოური სტანდარტებით მუშაობენ და იციან დიზაინის ფასი და დანიშნულება. შესაბამისად, ჩემი საქმიანობისას ხელ-ფეხი მქონდა გახსნილი.

რაც შეეხება სხვა კომპანიებს, რამდენადაც უხეშად არ უნდა ჟღერდეს, ქართული კომპანიების 99%-ს საერთოდ არ ესმით და არ იციან, დიზაინი რა არის. ჰგონიათ, რომ ეს არის ერთ-ერთი სავალდებულო რგოლი და მეტი დატვირთვა არა აქვს.რა დივიდენდების მომტანია დიზაინი და რამდენად შეიძლება აზარალოს კომპანია ცუდმა დიზაინმა, ამის გაგებაში არ არიან.

ისინი არ მუშაობენ იმაზე, რომ გაცდნენ ლოკალურ ფარგლებს და მაქსიმალურად აითვისონ უცხოური ბაზრები. ქართული ბაზარი კი ძალიან შეზღუდულია და როგორც მიმწოდებლის, ასევე მომხმარებლის მრავალფეროვნება არის ძალიან დაბალი. ლოკალური მყიდველის უმეტესობის მოთხოვნილება ერთფეროვანია, რამაც განაპირობა დიზაინის როგორც ფუფუნების სფეროს ჩამოყალიბება.

ჩვენთან არ ხდება მომხმარებლის გაზრდა, პირიქით, კომპანიები დადიან მომხმარებლის დონემდე. იმ მომხმარებლის დონემდე, რომელსაც არა აქვს მოთხოვნილება მიიღოს მაღალი ხარისხის პროდუქცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის დონე არ გაიზრდება თუ შენ არ შესთავაზე სიახლე.

დიზაინი სრული დატვირთვით ფუნქციონირებას იწყებს დიდი კონკურენციის პირობებში, ხოლო პატარა მასშტაბის სივრცეში პროდუქციის დიზაინის მიუხედავად, მაინც აღწევს გაყიდვის რაღაც ნიშნულს. დიზაინი ჭირდებათ ისეთ კომპანიებს, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირებენ და სურთ, შთაბეჭდილება მოახდინონ მყიდველზე. დიზაინი მჭირდება მე, რადგან ჩემი კონკურენტები არიან მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ბრენდები და ვფიქრობ, სჭირდება ყველას, ვინც თვლის, რომ შესწევს უნარი, დაიპყროს საერთაშორისო ბაზრები. ამის ნათელი მაგალითია ,,დელტა“, რომლის წარმატებაში დიდი გავლენა სწორედ დიზაინმა იქონია. სწორედ ინჟინერიის და დიზაინის იდეალურმა შერწყმამ გამოიწვია მისი საერთაშორისო აღიარება.

— ხელისუფლებამ დაიწყო ტექნო-პარკების შექმნა და დაიწყო თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა ქვეყნისთვის?

— მე ამ ფაქტმა ძალიან გამახარა და მსგავს პროექტებს ნამდვილად მივესალმები. თუმცა, ეს ტექნო-პარკი უნდა იყოს არა ერთი, არამედ ყველა რაიონში უნდა შეიქმნას მსგავსი პარკები. ქვეყანაში აუცილებლად უნდა გაიხსნას ისეთი სასწავლო ცენტრები და საწარმოები, რომლებიც მაქსიმალურად დაეხმარებიან ახალგაზრდებს საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში. ასევე, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტებმა დაიწყეს თანამედროვე ლაბორატორიების შექმნა და იქ ექსპერიმენტების კეთება, ესეც სწორი მიდგომაა. უკვე საკმაოდ დიდი ხანია, ამერიკა, და პრინციპში ყველა განვითარებული ქვეყანა, ასე იქცევა. სწორედ ასეთ ინსტიტუტებში და უნივერსიტეტებში იქმნება თანამედროვე ტექნოლოგიები. ჩვენთან ამის საშუალება საკმაოდ დიდხანს არ იყო და კარგია, რომ ამ საკითხზე სერიოზული მუშაობა დაიწყო. მსოფლიო მომავალი ეკუთვნის მეცნიერებას. ჩვენ თუ არ შევდგით ფეხი მეცნიერებაში ვერასდროს ვერ განვითარდებით. სწორედ მეცნიერებაში ვხედავ მე საქართველოს მომავალს, სხვანაირად ეს ქვეყანა განწირულია.

მეცნიერება პირდაპირ არის დაკავშირებული ძვეყნის უსაფრთხოებასთან. ძვეყანამ, პირველ რიგში, უნდა შეძმნას ძლიერი თავდაცვის სისტემა. როდესაც ძვეყანას თავდაცვის სისტემა აძვს ძლიერი და საფრთხე არ ელის, მაშინ უკვე მომავალზე იწყებს ფიძრს და ეკონომიკაც სტაბილურად ვითარდება.

ამავდროულად, სწორედ წარმატებული მეცნიერები უწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ისინი აწყობენ ისეთ ტექნიკას, რომლისგან იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქცია. მედიცინაშიც სწორედ ძლიერი მეცნიერები არიან საჭირო.

რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დანარჩენზე, როგორც ვხედავთ, ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები — თავდაცვა, სოფლის მეურნეობა და მედიცინა პირდაპირ არის დამოკიდებული მეცნიერების განვითარებასთან. რომ არ განვითარებულიყო მეცნიერება, დღეს ჩვენ ვიქნებოდით საფოსტო მტრედების დონეზე.

— რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში იმისთვის, რომ საქართველომაც აუწყოს ფეხი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და გახდეს თანამედროვე ტექნოლოგიების მწარმოებელი?

— პირველ რიგში, უნდა იყოს ხელისუფლების ნება. ვინმე უნდა გამოჩნდეს ქვეყნის მმართველებიდან, ვინც იტყვის, რომ ჩვენ გვინდა, ვიყოთ მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების სიაში. უნდა იყოს მეტი გახსნილი გონება, უფრო შორსმჭვრეტი ტვინები. უნდა გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ბაზა. დღევანდელი კანონმდებლობით მე თანამედროვე საწარმოს ვერ ჩამოვიტან, ვინაიდან ამ ყველაფერს თან სდევს საკმაოდ მაღალი გადასახადები, როგორც ჩამოტანისას ასევე ჩამოტანის შემდეგ. არსებობს უამრავი ბარიერი.

თუკი ჩვენ გვინდა, რომ ძლიერი წარმოება გვქონდეს, ამისთვის უნდა შევქმნათ გამართული საგადასახადო კოდექსი. ხელისუფლებამ უნდა მისცეს მეწარმეს და ინვესტორს იმის საშუალება, რომ მათ იაფად აწარმოონ პროდუქცია და კონკურენცია გაუწიონ სხვა უცხოურ ბრენდებს.

მთავარია, შესაბამისი ნება და ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია. არავის არ სჯეროდა, რომ ქართველებს შეგვეძლო ისეთი ჯავშანტექნიკის შექმნა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის პროდუქციასაც კი.

— ინდივიდუალურად თუ სხვადასხვა წამყვან კომპანიებთან ერთად უამრავი პროექტი განახორციელეთ, რა არის თქვენი წარმატების ფორმულა და რას ურჩევდით მომავალ თაობას?

— მომავალ თაობას ვურჩევდი, რომ იაზროვნონ გაცილებით თავისუფლად და შეცვალონ მასშტაბები. მათ დღესვე უნდა დაიწყონ იმაზე ფიქრი, თუ როგორ გაყიდიან მარსზე პროდუქციას 2020 წელს და არა იმაზე, თუ როგორ გახსნან თავიანთ უბანში სახინკლე და რესტორანი!..

დღევანდელი თაობა ჩვენს თაობაზე უკეთესია, ისინი უფრო პრაგმატულები არიან, ბევრად უფრო ერგებიან თანამედროვეობას. მათ უნდა შეცვალონ მსოფლმხედველობა და გავიდნენ სხვა მასშტაბებზე მით უფრო, რომ დღეს ფაქტიურად აღარ არის საზღვრები, სულ მალე უვიზო მიმოსვლაც ექნება ქვეყანას, რაც კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

წარმატების ფორმულა არის მეტი თავისუფლება და არანაირი შიში ნაბიჯის გადადგმისას. არანაირი შიში შეცდომების მიმართ, ვინაიდან შეცდომაც გარკვეული შედეგია, უკვე იცი, რომ მსგავსი ნაბიჯი აღარ უნდა გადადგა.

— რა გეგმები გაქვთ უახლოეს პერიოდში?

— მე მუდმივად მაქვს გეგმები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ჩემს ქვეყანასთან. მინდა, რომ საქართველოში გავაკეთო კიდევ მრავალი რამ. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. თუკი ხელისუფლება ხელს შემიწყობს, ხომ კარგი და თუ ასე არ მოხდა, მაშინ შევეცდები, სხვა გზები მოვძებნო ჩემი იდეების განსახორციელებლად. სამწუხაროდ, დღევანდელ სიტუაციაში მარტო ვარ. არადა, სათანადო მხარდაჭერა რომ იყოს მე და ჩემი გუნდი შევძლებთ იმას, რომ შევქმნათ ისეთი პროდუქცია, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონის იქნება. ამაში ახალგაზრდებიც მიიღებენ მონაწილეობას და მათაც დავეხმარებით საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში.

ჯერ კიდევ მაქვს ხელშეწყობის იმედი, ვინაიდან, ვფიქრობ, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ერთჯერადი ღონისძიებები, რაზეც საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება, მეორე დღეს კი არავის არ ახსოვს და შედეგიც ვერ მოაქვს.

commersant.ge

ოლიმპიადა აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისთვის

საქართველოს აზერბაიჯანელ იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის ხელშეწყობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეთა შორის „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა“ ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლე მახმად ეიბოვი. მე-2 ადგილზე გავიდა სოფ. ლამბალოს საჯარო სკოლის მოსწავლე თურალ ისაევი. ოლიმპიადის 5 საუკეთესო მონაწილეს გადაეცა საქართველოს აზერბაიჯანელ იურისტთა ასოციაციის სერტიფიკატი.

საზკვების ობიექტების კონტროლი გრძელდება

სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს სამომხმარებლო ბაზრის სახელმწიფო კონტროლს. ინპექტირება ხორციელდება ყველა ტიპის საწარმოში, სარეალიზაციო ობიექტში, სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულების კვების ბლოკში. საზოგადოებრივი კვების ობიეტებში მიმდინარე წელს 756 სახელმწიფო კონტროლი ჩატარდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ აღმოჩენილ დარღვევებზე ხორციელდება სათანადო რეაგირება, მოქმედებს საჯარიმო სანქციები, დარღვევების

შესაბამისად, ბიზნესოპერატორებს ეძლევათ რეკომენდაციები და მათ გამოსასწორებლად გონივრული ვადები.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე საზოგადოებრივი კვების 118 ობიექტში ჩატარა გეგმიური ინსპექტირება, არაგეგმიური კონტროლი ჩატარდა 47 მათგანში. დოკუმენტურად შემოწმებულია 591 სწრაფი კვების ობიექტი, საცხობი, პურ-ფუნთუშეულის წარმოება. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სახელმწიფო კონტროლისას გამოვლინდა 83 დარღვევა, მათ შორის 7 კრიტიკული შეუსაბამობა. არაკრიტიკული დარღვევების გამოსასწორებლად ბიზესოპერატორებს მიეცათ რეკომენდაცია და გონივრული ვადები, ხოლო კრიტიკულის გამო 7 მათგანს აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა.

დაპირისპირება ხელვაჩაურში

ხელვაჩაურში ადგილობრივებმა ცენტრალური გზა გადაკეტეს. აქციის მონაწილეები ერთი თვის წინ 14 წლის ბიჭის გარდაცვალების საქმის დროულ გამოძიებას ითხოვდნენ.დაღუპულის ოჯახის წევრებსა და საპატრულო პოლიციას შორის რამდენიმე ინციდენტიც მოხდა, თუმცა ვითარება მალევე განიმუხტა. შეკრებილებს აჭარის სამმართველოს უფროსი შეხვდა და პრობლემის მოგვარებას დაპირდა.დაღუპულის ოჯახის წევრებს მიაჩნიათ, რომ მოზარდი სამმა ახალგაზრდამ მოკლა, ისინი მათ დასჯას ითხოვენ.შს სამინისტროში მომხდარზე გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

უცნობი გენერალისიმუსი...

ომის დასაწყისი

მინდა, გავფანტო ეჭვი და ჭორები, თითქოს სტალინი მშიშარა იყო. მოვიყვან რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს: მართალია, აგარაკ „სემიონოვსკის“ მტერი გამუდმებით ნაღმტყორცნებს უშენდა, მაგრამ სტალინი იქ ჩვეულებრივ დადიოდა. ბოლოს „ენკავედედან“ მკაცრი გაფრთხილება მოვიდა –„ერთ-ერთი ნაღმი მიწაში ჩაესო, არ აფეთქებულა“. გარდა ამისა, ვარაუდობდნენ, რომ აგარაკის ირგვლივ, ტერიტორია განგებ იყო დანაღმული. ის კი არა, ნაღმები შეიძლება შენობის ქვეშაც იყო. ეს აუცილებლად სტალინისთვის უნდა ეცნობებინათ, მაგრამ სოლოვოვს – კი, მაგრამ შენ მაშინ სად იყავიო?! – საყვედურის ეშინოდა. თუმცა სტალინმა ძალიან მშვიდად უთხრა:

– თქვენ ხომ ტანკისტი ხართ, მე-ნაღმეც, მაშინ წავიდეთ, შევამოწმოთ.

სოლოვოვმა გასანაღმად ნაღმების ძებნა დაიწყო, სტალინიც მის გვერდით მიაბიჯებდა და ყურადღებით აკვირდებოდა. ის კი არა, ზოგჯერ სოლოვოვის წინ გასწრებასაც ცდილობდა, მაგრამ, სოლოვოვი ვერ და ვერ ითანხმებდა, ოდნავ უშიშარ ადგილას ცოტა ხანს მაინც გაჩერებულიყო. ეს ამბავი, კიდევ კარგი, კეთილად დამთავრდა... მაგრამ მტრის თვითმფრინავები ახლა უახლოესი აგარაკის თავზე გამოჩნდნენ, მეზენიტეებმა მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს: ჭურვის ნამსხვრევები სეტყვესავით ცვიოდა, ფეხქვეშ ხრაშახრუში გაჰქონდა და გველივით შიშინებდა. ვლასიკმა სამჯერ სთხოვა, თავშესაფარში შესულიყო, მაგრამ, სტალინმა ხელი ჩაიქნია და მიდეგა, შეუპოვარი მეზენიტეების მიერ ნასროლი ჭურვების ფუჭ ბათქაბუთქზე დაკვირვება განაგრძო. ბოლოს ისევ ვლასიკს მოუბრუნდა და ეუბნება:

– ვლასიკ, ნუ წუხხართ, ჩვენი ბომბი გვერდით არ ჩაიფრენს.

იტყოდი, საკუთარ ბედს ჯიბრში უდგასო. რამდენიმე დღის შემდეგ მოჟაისკის გზატკეცილზე პირდაპირ მისი მანქანის წინ რამდენიმე ყვითლად მოგიზგიზე ცეცხლგამჩენი დაეცა და დაცვას მათი თხრილში ჩაყრა მოუწია.

* * *

ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის დღესასწაული. მოსკოვის სამხედრო ოლქის ყოფილ სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ პ. არტემოვს კარგად ახსოვს, სტალინმა როგორ გამოიძახა და როგორ ჰკითხა:

– აპირებთ წითელ მოედანზე პარადის ჩატარებას?

პარადის ჩატარების წინააღმდეგ სერიოზული მიზეზები არსებობდა, მით უმეტეს ტანკებისა და ჯარის გარეშე, მაგრამ ამ მიზეზებმა ვერ დაარწმუნა უმაღლესი მთავარსარდალი, რათა უარი ეთქვა პარადზე:

– ყმაწვილო, ახლანდელ ვითარებაში პარადის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, მის გავლენას წითელ არმიასა და საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩანს, სათანადოდ ვერ აფასებთ, – უსაყვედურა სტალინმა და ყალიონი გააბოლა, – ის ხომ სულიერად გააძლიერებს ხალხს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ოკეანისგაღმელი კაპიტალისტები კი იტყვიან, ეტყობა, ბოლშევიკებს ჯერ კიდევ შესწევთ ძალა ბრძოლისათვის, ვაითუ, გაანადგურონ მოსკოვთან გერმანელები, უნდა მოვეხმაროთო... ჰოდა, იმოქმედეთ, რაც შეეხება ტანკებსა და არმიას, ჩვენ ის მოგვეძებნება... პარადისთვის მზადებას ფარულად დაიწყებთ. ხოლო პარადის დაწყება ექვს ნოემბერს საზეიმო თათბირის შემდეგ მომახსენეთ.

– მაგრამ მტრის თვითმფრინავებმა რომ შემოაღწიონ, პარადის დაბომბვა რომ დაიწყონ?

– ჯერ ერთი, ვერც ერთმა მტრის თვითმფრინავმა ვერ უნდა მოაღწიოს მოსკოვამდე, მაგრამ, თუ მაინც ჩამოყრიან ბომბებს, აიყვანეთ დაზიანებულები და პარადი განაგრძეთ.

და – შედგა ლეგენდარული პარადი. ვფიქრობ, სამხედრო მარშის მრისხანე ხმებმა ისევე გააბრუეს ფაშისტები, როგორც მომდევნო საარტილერიო კანანადამ.

სტალინი და ჟუკოვი

ბრძენი ბელადის კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა იყო, როცა გ.კ. ჟუკოვს შესთავაზა, დიდი თეატრის მსახიობები კეთილშობილი საქმისათვის განეწყო. მართლაც, გიორგი კონსტანტინოვიჩმა მსახიობებს ასეთი მგზნებარე მოწოდებით მიმართა:

– ძვირფასო მეგობრებო, მტერი მოსკოვის კართანაა მომდგარი, ქვეყანას თქვენი დახმარება სჭირდება. ახლა მეომრებისთვის დიდი თეატრის მუშაობა ეს არის ფრონტისთვის მხარდაჭერა. თქვენი მხარდაჭერით თითოეული მებრძოლი კიდევ უფრო გაორმაგებული ძალით იბრძოლებს. მსოფლიოში არც ერთ თეატრს არ უმუშავია მაშინ, როცა მტერი დედაქალაქთან ოცდაათ-ორმოც კილომეტრზეა. ამიტომაც სპექტაკლების დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თეატრი ისე სჭირდება ფრონტზე მებრძოლ ჯარისკაცებს, როგორც პური.

გაურკვეველ მომავალზე ფიქრით შეწუხებული, შიმშილით ძალაგამოლეული არტისტები ელოდნენ ამ დაძახებას. იგივე ლემეშევი, ერთი წლის წინათ ყაზანის სადგურზე მანქანიდან გადმოვიდა და მტკიცედ განაცხადა:

– პირადად მე რატომ უნდა წავიდე კუიბიშევში, როცა სტალინი მოსკოვშია! კუიბიშევში, ანუ ზურგში კი არ უნდა ვიმალებოდეთ, ფრონტს აქედან უნდა დავეხმაროთ, უნდა ავამუშაოთ ჩვენი თეატრი!

და აი, დადგა ის სანუკვარი დღეც. პუშკინის ქუჩაზე დიდი თეატრის ფილიალში ოპერისა და ბალეტის მსახიობთა არაჩვეულებრივი კონცერტი შედგა. იგი დღის ორ საათზე დაიწყო და საჰაერო განგაშის გამო სამჯერ შეწყდა, რომლის დროსაც ტენორი ფ. ბობკოვი ეგრევე თეატრალურ კოსტიუმში გამოწყობილი თეატრის სახურავზე ავიდა და მორიგეებთან ერთად ცეცხლგამჩენებს აქრობდა. ორ საათზე დაწყებული კონცერტი საღამოს ექვს საათზე დამთავრდა და მეთექვსმეტე არმიის გენერალმა როკოსოვსკიმ მსახიობებს, რომლებიც ესწრებოდნენ სპექტაკლს და იმათაც, რომლებიც არ ესწრებოდნენ, ფრონტელების სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა, ოცდაორ ნოემბერს ახლა სხვა ბედნიერ ადამიანებს ხვდა წილად, რათა ოპერა „ევგენი ონეგინში“ ლემეშევისა და ბურლაკოვისათვის მოესმინათ; ხოლო ოცდასამში ბალეტ „ამაო სიფრთხილით“ დამტკბარიყვნენ. მთელი პუშკინის ქუჩა თეთრად გადაღებული საფრონტო მანქანებით იყო სავსე.

დაე, მოსკოვის შემოგარენში თოვლით გადათეთრებულ მინდვრებსა და ტყეებში მებრძოლებმა ვერ უყურონ, ვერ შეძლონ საკუთარი თვალით ნანახი კლასიკური ხელოვნების შედევრების შეფასება, მაგრამ, ალბათ, წაიკითხეს მათ შესახებ გაზეთებში ან თავიანთი მეთაურებისაგან მოისმინეს, ანდა სულაც რადიოთი და, ისტორიული შეტევის წინ სულიერად გამხნევებულებს ძალა და ღონე მოემატათ.

* * *

ჟუკოვი დღედაღამ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ღამღამობით ძილს ან ყინულივით ცივი წყლით იფრთხობდა ან საათობით თავის „კალმარს“ ატრიალებდა. ის, თუ რა მდგომარეობამდე იყო მისული, როგორ ღელავდა, შეიძლება ამ მაგალითის მიხედვით იმსჯელო: ოთხ დეკემბერს ფრონტის შტაბში სარდლების თათბირი მიმდინარეობდა. დარეკა სტალინმა. ჟუკოვი გაფითრდა, წარბი შეკრა და ბოლოს მოუჭრა:

– ჩემ წინ მოწინააღმდეგის ორი არმიაა. ფრონტი ჩემია. მე თვითონ უკეთესად ვიცი, როგორ მოვიქცე და რა გადავწყვიტო! თუ დრო გაქვთ, შეგიძლიათ, განალაგოთ კალის ჯარისკაცები და ბრძოლა გააჩაღოთ.

ეტყობა, სტალინიც გაცხარდა და რაღაც უთხრა. ჟუკოვმა, არც აცია, არც აცხელა და, ეგრევე – წადი ერთიო!... – უპასუხა.

ჯერ კიდევ ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ შეძლო, აეხსნა მათი ურთიერთდამოკიდებულების საიდუმლო, რომელიც, მართალია, დემოკრატიული იყო, მაგრამ ამავე დროს რთული და ამოუხსნელი. ვიდრე რომელიმე თეორეტიკოსთაგანი ამის ახსნას შეძლებს, ვისარგებლოთ იმ ადამიანის გამოცდილებით, ვინც ერთსაც კარგად იცნობდა და მეორესაც.

უახლოესი აგარაკის კომენდანტი ორლოვი სტალინთან ორმოცდაჩვიდმეტი წლიდან ორმოცდაცამეტ წლამდე მუშაობდა, ესე იგი, ჰქონდა უფლება აღენიშნა ის, რაც ყველაზე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი იყო ბელადის ხასიათში. მაგალითად, არ უყვარდა, როცა ყველაფერზე თავს უსიტყვოდ უქნევდნენ და ეთანხმებოდნენ. ფაქტი, აი, ასე: „მოვიქცევი ისე, როგორც თქვენ მიბრძანებთ“.

– ამგვარი მრჩევლები არ მჭირდებაო, – იტყოდა ხოლმე სტალინი ასეთ დროს. ეს რომ გავიგე, ხანდახან შევეკამათებოდი და ვიცავდი ჩემს აზრს. სტალინი შემომხედავდა, დაფიქრდებოდა და – კარგი, ვიფიქრებ ამაზეო, – მეტყოდა ბუზღუნით – ვერ იტანდა, მასთან შეშინებულივით წელში მოხრილები რომ შევიდოდნენ. მასთან მტკიცე ნაბიჯით, წელში გამართული უნდა შესულიყავ. თუ საჭირო იყო, შეგეძლო ყოველთვის, რა დროც არ უნდა ყოფილიყო – მისი კაბინეტის კარი არასდროს იკეტებოდა“.

კიდევ ერთ ასეთ აზრსაც მოგახსენებთ: „სტალინი პატივს სცემდა ჟუკოვს თავისი პირდაპირობისა და პატრიოტობისთვის. სტალინისთვის ის ყველაზე საპატიო სტუმარი იყო.

„სტალინი გარდა იმისა, რომ ნიჭიერი სარდალი ბრძანდებოდა, ისიც საკმარისია, ჟუკოვის გაუგონარი მოქცევის შემდეგ, ხუთ დეკემბერს, მთელი დღე ეთმინა, გაბრაზებისგან თავი შეეკავებინა და მხოლოდ შუაღამისას მშვიდად იკითხა:

– ამხანაგო ჟუკოვ, როგორია მდგომარეობა, რა ხდება მოსკოვთან დაკავშირებით?

– ამხანაგო სტალინ, მოსკოვს არ დავთმობთ! – უპასუხა გიორგი კონსტანტინოვიჩმა.

– მაშინ ასე, ორი საათი წავალ, წავიძინებ.

– შეიძლება.

სტალინი ფრონტზე

1991 წლის გაზაფხულზე, ორი საათი ილაპარაკა ტელევიზორში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ომის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა დ. ვოლკოგონოვმა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად სტალინის ფრონტზე წასვლის საკითხსაც შეეხო. ასე თქვა –„ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი მხოლოდ ერთხელ გავიდა მოსკოვიდან, ისიც ფრონტიდან ნახევარი კილომეტრის მოშორებით, სოფლის ერთ პატარა ქოხში, თანაც მხოლოდ ფრონტზე მყოფ ორ სარდალს შეხვდა, მერე კი ის ღამე თბილ ღუმელზე დაწოლილმა გაატარა და მაშინვე სახლში წამოვიდა, რათა ჩერჩილსა და რუზველტთან გასაგზავნ წერილში, მოკრძალებით მოეხსენებინა თავისი დიდი გაბედულებისა და იმის შესახებ, თუ რა გენიალურად ხელმძღვანელობდა შეტევაზე გადასულ ფრონტს“.

მეტად უცნაურ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი ამ ცნობილმა ისტორიკოსმა, რომელმაც სტალინს საკმაოდ სქელტანიანი წიგნი –„ტრიუმფი და ტრაგედია“ მიუძღვნა. თუ ის ადრე ფრონტის ხაზთან სტალინის ორ გასვლას მაინც მოიხსენიებდა, ახლა ჩათვალა, რომ წარსული მოვლენების განსაზოგადებლად ერთიც სრულიად საკმარისი იყო. ვშიშობ და თანაც მართებულად, რომ ვოლკოგონოვის ავტორიტეტმა, ვაითუ სხვა ისტორიკოსებში სიმართლის გარკვევის სურვილი შეანელოს, ამიტომაც სტალინის ფრონტებზე გასვლის შესახებ ყველაფერს ზუსტად მოგიყვებით. იმ დროს მთავრობის, ხოლო, უპირველეს ყოვლისა, სტალინის თანმხლებ დამხმარე სპეცჯგუფს ვხელმძღვანელობდი. სტალინის გვერდით მუდმივად იმყოფებოდნენ ჩემი თანამშრომლები, რომლებიც ამავე დროს ჩემი ამხანაგები იყვნენ. ჩვენ ყველანი ერთად გაჩვენებთ, რამდენადაც შორს არის ვოლკოგონოვი სიმართლისგან.

(გაგრძელება იძნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ოლექსეი რიბინის ჩანაწერები

დასაწყისი იხ. № 65-79

◎ ტურისტს მეორედ ჩამოსვლაც რომ მოუნდეს...

„...კლიენტთან მოპყრობა და ღიმილი მაინც ისწავლონ!“

საძართველოში წლეულს ტურისტულ ბუმს ელიან. წლის დასაწყისიდან მიღებული მონაცემები სწორედ ამას ადასტურებს. ტურისტული კომპანიები კი სასტუმროების მეპატრონეებს მოუწოდებენ სტუმრებს შესაფერისი მომსახურება და შესაბამისი ფასები დაახვედრონ.

ვიცე-პრემიერის, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, აპრილში ტურისტების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. **წინა თვეში 462 ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია ქვეყანას, რაც 17%-იანი მატებაა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**

მისივე თქმით, ეს მაჩვენებლები მიუთითებს ახალ სამუშაო ადგილებსა და ვალუტის სიმყარეზე. **„ეს არის კონკრეტულად შემოსავლები ჩვენს ქვეყანაში, ეს არის შემოსავალი უცხოურ ვალუტაში, რაც აისახება კიდეც ეროვნულ ვალუტაზე. ძალიან კარგი რიცხვები გვაქვს და დარწმუნებული ვართ, მატება გვექნება შემდგომ თვეებშიც“,** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან საქართველოს, თითქმის, **1,6 მილიონი ადამიანი ეწვია, რაც 2015 წლის აპრილთან შედარებით 15,4%-ით მეტია.**

სტუმრების რაოდენობით, ტრადიციულ სამეულში კვლავ თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ლიდერობს, საიდანაც ვიზიტების მატებამ აპრილში — **12%, 17,6% და 8,7%**, შესაბამისად, **115,9** და **105,7-105,7** ათასი შეადგინა. ტურისტების რაოდენობამ **26,7%**-ით მოიმატა რუსეთიდან **(74 ათასამდე)**, ხოლო უკრაინიდან — 25,9%-ით **(11,7 ათასამდე)**. სამაგიეროდ, უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა ევროკავშირის მიმართულებით, საიდანაც აპრილში ტურისტების რაოდენობამ, პირიქით, **2.2%-ით მოიკლო (18 ათასამდე)**.

ქვეყნების მიხედვით, ვიზიტორთა მომდევნო ხუთეულში შედის: ისრაელი (6,6 ათასი), ირანი (3,6 ათასი), პოლონეთი (3,3 ათასი), ყაზახეთი (2,5 ათასი) და გერმანია (2,3 ათასი).

ტუროპერატორები მიუთითებენ, რომ მარტო ტურისტების შემოყვანა არ არის მთავარი. აუცილებელია, აქ შესაბამისი მომსახურება და ფასები დახვდეთ. „როდესაც ტურისტი ჩამოდის, აქ ისეთი სიტუაცია უნდა დახვდეს, რომ მეორედაც დაბრუნდეს. ამაში ჩვენ სახელმწიფოს თანადგომა გვჭირდება. საჭიროა კონტროლი თუნდაც ფასებზე — საკვების ფასი არ უნდა იყოს ისე კატასტროფული, როგორც გახმაურებულ „კაზანტიპის“ ფესტივალზე იყო, სადაც ხაჭაპური 15-16 ლარი ღირდა, 40-თეთრიანი წყალი 3-4 ლარი, ხინკალი კი — 2 ლარი და ა.შ... ტურისტები ამ ფასებით გაოცებულები იყვნენ, რამაც ჩვენი ქვეყნის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

ამაში მოსახლეობას ვერ დავადანაშაულებთ. მაგრამ თუ ტურისტული ბიზნესის განვითარება გვსურს, სტუმრებისთვის შესაბამისი გარემოც უნდა შევქმნათ. გარდა ამისა, ჩვენ არა გვაქვს იმდენად გამართული ინფრასტრუქტურა, რომ ტურისტთა დიდი ნაკადის მიღება და დაბინავება შევძლოთ“, — აღნიშნავს ტურისტული კომპანია „ვულქერის“ დირექტორი შალვა ციკოლია.

ტურისტულ კომპანია „ტიფლის თრეველში“ ვარაუდობენ, რომ წელს საქართველოში რუსი ტურისტების 5-10% წამოვა, მაგრამ თუ კარგ სერვისს არ დავახვედრებთ, შემდეგ სეზონებზე აქ აღარ ჩამოვლენ.

ბექა დანელია

დიპლომატები „საქართველო-4“-ის მიმდინარეობას გაეცნენ

სოფელ სკრაში ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სატრასტო ფონდის პროექტ „საქართველო-4“-ის მიმდინარეობას ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტომაშ პერნიცკი და ლიტვის საგანგებო და სრულუფლებანი ელჩის მოადგილე იურატე რამოსკიენე გაეცნენ. სტუმრებს ნატოს უზრუნველყოფის და შესყიდვების სააგენტოს (NSPA) პროექტის მენეჯერმა გვანცა კვინიკაძემ, ასევე, შეიარაღებული ძალების საინჟინრო ბრიგადის ფეთქებადი საბრძოლო მასალების განადგურების (EOD) ასეულის და სამხედრო-სამეცნიერო ცენტრ „დელტას“ წარმომადგენლებმა უმასპინძლეს.

ჩეხეთი და ლიტვა ნატოს პროექტ „საქართველო-4“-ის წამყვანი ქვეყნები არიან. პროექტი, რომელიც 2014 წლის ივნისში დაიწყო, 2008 წლის ომის დროს სკრაში მდებარე შეიარაღების აფეთქებული საცავის მიმდებარე ტერიტორიის ფეთქებადსაშიში ნარჩენებისგან გაწმენდას, ასევე საინჟინრო ბრიგადის EOD ასეულისთვის წვრთნების ჩატარებას და აღჭურვილობის მიწოდებას ითვალისწინებს. სკრაში გაწმენდით სამუშაოებს ასეულის 19 სამხედრო მოსამსახურე ასრულებს. დღეისთვის გაწმენდილია 25 000 კუბურ მეტრზე მეტი დაბინძურებული მიწა, აღმოჩენილი და განადგურებულია რამდენიმე ასეული აუფეთქებელი საბრძოლო მასალა. სტუმრებმა მიღწეული შედეგი დადებითად შეაფასეს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს პროექტში ჩართულ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და პროექტის მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პროექტის ბიუჯეტი 1,3 მილიონ ევროს შეადგენს და მასში, წამყვანი ქვეყნების გარდა, წვლილი აშშ-მა, აზერბაიჯანმა, ბულგარეთმა, დანიამ, გერმანიამ, ირლანდიამ, იაპონიამ, ლუქსემბურგმა, ესპანეთმა, შვედეთმა და თურქეთმაც შეიტანეს.

რუსი სამხედროები ჩვენს მოქალაქეებს აკავებენ

ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით, რუსმა სამხედროებმა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვრინისის მკვიდრი გიორგი ხარაზიშვილი და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში მცხოვრები მამუკა კოპაძე დააკავეს. ხარაზიშვილის დაკავება იმ დროს მოხდა, როდესაც იგი ე.წ. საზღვრის სიახლოვეს პირუტყვს მწყემსავდა. რაც შეეხება მამუკა კოპაძეს, იგი რუსმა სამხედროებმა სოფლის განაპირას, ქართველი სამართალდამცავების არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან აიყვანეს. ორივე მათგანი ამ დროისათვის ცხინვალის დაკავების იზოლატორში იმყოფება.

სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016“

11-24 მაისს ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიასა და სამხედრო პოლიგონზე სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2016“ (Noble Partner 2016) ჩატარდება. „ღირსეული პარტნიორი 2016“ საქართველოში მეორედ ტარდება და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილე ქართული მსუბუქი ქვეითი ასეულის ნატოსთან და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთთავსებადობის გაზრდას ისახავს მიზნად. სწავლებაში 1300 — მათგან 500 ქართველი, 650 აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის და 150 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. პირველად საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში სწავლებაში გამოიყენებენ MA2 ტიპის ამერიკულ ტანკებს „აბრამსებს“. წვრთნაში ასევე ჩაერთვება ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“ და C-130 ტიპის ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული, ქ/ს „გლდანი-220“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე 1278 კვ.მ. მიწის ფართის იჯარის ფორმით (დროებით სასყიდლიან სარგებლობაში) გაფორმების მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთის დასასვენებელი სახლის (უძრავ-მოძრავი ქონების) გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის 2-510-281 მობილურის 577 240-233

აღიარებენ ყარაბაღს დე ფაქტო რესპუბლიკად?

სომხეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. შესაბამისი კანონპროექტი მთავრობას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შავარშ კოჩარიანმა წარუდგინა. უახლოეს დროში დოკუმენტს განსახილველად პარლამენტს წარუდგენენ. სომხეთის პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 10 მაისს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ სომხეთში ოპოზიცია მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო რესპუბლიკის აღიარების მოთხოვნით არაერთხელ გამოსულა, თუმცა მთავრობა შესაბამისი ინიციატივის განხილვაზე უარს აცხადებდა. მინისტრთა კაბინეტში განმარტავდნენ, რომ ასეთმა ნაბიჯმა შესაძლოა, კონფლიქტის დარეგულირების მოლაპარაკებების პროცესი დააბრკოლოს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კურტ ვოლკერი:

ნატო არავის ემუქრება, ის თავდაცვითი ალიანსია

დრო, მხოლოდ მხარდაჭერაზე საუბარი დასრულდეს და რუსეთის შეკავება დაიწყოს

ამერიკის სენატში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კოალიციის ორგანიზებით – რომლის წევრიც ქართული ასოციაციაცაა – შეხვედრა გაიმართა სახელწოდებით „ნატოს პოზიცია რუსეთთან დაკავშირებით: ხედვა თუ რეაქცია". შეხვედრას აშშ-ის კონგრესის, ადმინისტრციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სენატში გამართულ ღონისძიებაზე ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე ისაუბრეს. სიტყვით გამოსული ექსპერტები ერთ მოსაზრებას იზიარებენ, რომ ალიანსი რუსეთთან დამოკიდებულებაში უნდა გაერთიანდეს და, საერთო ინტერესების შესაბამისად, შეიმუშაოს მოსკოვთან ურთიერთობის სტრატეგია. ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი მამუკა წერეთელი აცხადებს, რომ ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროპის უსაფრთხოებისთვის, არამედ რუსეთის მეზობელი ქვეყნებისთვისაც. ის ამბობს, რომ დასავლეთმა ნატოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის სტრატეგია უნდა გააცნობიეროს:

– ნატო-რუსეთის ურთიერთოებები დანახული უნდა იქნეს უფრო დიდ კონტექსტში, როგორიც არის რუსეთის ფართო სტრატეგია. ის გულისხმობს ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შეცვლას. ამ ახალ არქიტექტურაში, რომელიც რუსეთს უნდა რომ დაამკვიდროს, მას სურს ჰქონდეს ვეტოს უფლება ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში, რომელსაც მოუნდება ნატოში გაწევრება, ან ევროკავშირში გაერთიანება, – ამობს მამუკა წერეთელი. მისივე თქმით, რუსეთს უნდა სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის შეზღუდვა და ამაზე დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან სურს თანხმობის მიიღება. ჩვენი მიზანია, რომ კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ქვეყნები არიან სუვერენული და მათ უნდა ჰქონდთ უფლება გადაწყვიტონ საკუთარი ბედი.

ლიტვის ელჩის მოადგილე მინდაუგას ჟიკუსი რუსეთის სტრატეგიის გაანალიზებასთან ერთად კრემლის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის შეცვლას უჭერს მხარს. ამისთვის, დასავლეთის გაერთიანებაა საჭირო. მისი აზრით, ამ პროცესებში წამყვანი როლი ამერიკამ უნდა შეასრულოს. ლიტველი დიპლომატი ევროპაში მოკავშირე ძალების უმაღლესი მთავარსარდალის, გენერალ ფილიპ ბრიდლოვის მოსაზრებას იზიარებს და ამბობს, რომ ამერიკამ პარტნიორების მხარდაჭერაში დარწმუნება უნდა დაამთავროს და რუსეთის შეკავება დაიწყოს:

– რუსეთს მესიჯი უნდა გაეგზავნოს, რომ ნებაყოფლობით წამოწყებული სამხედრო თავგადასავლები აღარ გაიმეოროს. მხარდაჭერის გამოცხადებამ იმუშავა, მაგრამ ახლა უფრო ძლიერი გზავნილია საჭირო. ეს გზავნილი შეკავების პოლიტიკაა, რომელმაც არსებული მხარდაჭერა უნდა გააძლიეროს. შეკავების ერთი ასპექტი სამხედრო ძალაა, ხოლო მეორე რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა. დასავლეთმა ორივე მიმართულებით უნდა დაიწყოს აქტიური მუშაობა.

ამერიკის ყოფილი ელჩი ნატოში კურტ ვოლკერი ამბობს, რომ დასავლეთმა რუსეთთან დაკავშირებით ერთიანი სტრატეგიის შემუშავება რუსული ნარატივის წინააღმდეგ საკუთარი არგუმენტების გაჟღერებით უნდა დაიწყოს. ვოლკერი ამბობს, რომ ნატო თავდაცვითი ალიანსია, რომელიც საფრთხეს არავის უქმნის: **„რუსეთის ნარატივი ასეთია – ნატომ პირობა დადო, რომ არასოდეს გაფართოვდებოდა, ახალი წევრების ტერიტორიაზე სამხედრო არქიტექტურას არ განალაგებდა, რუსეთს საფრთხეს არ შეუქმნიდა. რუსეთი ამბობს, რომ ნატო აგრესიას იჩენს და რუსეთს საკუთარი თავის დაცვის უფლება აქვს. ეს ყველაფერი ტყუილია. ნატო რუსეთს არაფერს შეჰპირებია, გარდა იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში არ განალაგებდა ჯარებს",** – ამბობს ყოფილი ელჩი.

ნატო-რუსეთის საბჭოს დამფუძნებელ დოკუმენტში კურტ ვოლკერის მიერ ჩამოთვლილი პირობები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. საბჭო 1997 წელს დაარსდა. ეგრეთ წოდებულ, „დამფუძნებელ აქტში" ნათქვამია, რომ იმ დროისთვის არსებული ვითარების შესაბამისად, ნატოს არ მიაჩნია საჭიროდ პერმანენტული, მოზრდილი კონტინგენტების განთავსება ახალი წევრების ტერიტორიებზე. მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვლა – რუსეთი საქართველოში შეიჭრა, მისი ორი რეგიონის – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის – ოკუპაცია მოახდინა და ეს ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. რუსეთმა ასევე მოახდინა ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერას აგრძელებს. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო დოქტრინაში ნატოს გაფართოება ეროვნული უშიშროების ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედაა შეფასებული. ეს ფაქტორები დღევანდელ ვითარებას მნიშვნელოვნად განასხვავებს 1997 წელს არსებული მდგომარეობისგან.

კურტ ვოლკერი ამბობს, რომ რუსეთი ნატოს მიზნებზე მცდარ ინფორმაციას ავრცელებს:

„ნატო არავის ემუქრება. ის თავდაცვითი ალიანსია, რომელიც გადაწყვეტილებებს კონსენსუსზე დაყრდნობით იღებს. მისი წევრები რუსეთთან ომის დაწყებას არასოდეს დათანხმდებიან. ამასთან, ნატოს კარი რუსეთისთვის არასოდეს დახურულა. მაგრამ რუსეთი ნატოს წევრი რომ გახდეს, იგივე მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, რაც სხვა ქვეყნებმა – უნდა გახდეს დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული, თავისუფალი ქვეყანა."

კურტ ვოლკერი ასევე დასძენს, რომ რუსეთის ნარატივის საპირწონედ დასავლეთის პოზიციის გაჟღერება პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილია. მისი აზრით, პროპაგანდას როგორც ნატოს წევრები და მთლიანად დასავლეთი, ასევე ნატოში გაწევრების მსურველი ქვეყნებიც უნდა ებრძოლონ: „ჩვენი ლიდერები ამ თემებს თავს არიდებენ. მათ რუსეთთან კონფრონტაციაში შესვლა არ სურთ. რუსეთს კი კონფრონტაცია ძალიან მოსწონს. რუსეთის არგუმენტის უპასუხოდ დატოვება მათ ნარატივს წონას მატებს. ამიტომ აუცილებელია ამ თემებზე საჯაროდ საუბარი".

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთთან დამოკიდებულებაში ერთიანი, საერთო ინტერესების პოლიტიკით არ ხელმძღვანელობენ. ეს ალიანსის არა მხოლოდ სანდოობაზე, არამედ ერთიანობაზეც უარყოფითად აისახება.

დედამიწის ზურგზე

ვაშინგტონი და მოსკოვი ალეპოში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, ვაშინგტონი და მოსკოვი ალეპოში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. დეპარტამენტის ინფორმაციით, რუსეთი თანახმაა, ბაშარ ასადის ჯარს ალეპოზე საჰაერო დარტყმები შეაწყვეტინოს.

სირიის სამთავრობო ჯარი ადასტურებს, რომ ალეპოში სამშვიდობო შეთანხმება მიღწეულია და ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 5 მაისს, სირიის დროით ღამის 01:00 საათზე ამოქმედდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის იიგორ კონაშენკოვის განცხადებით, ალეპოში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 48 საათით გახანგრძლივდა და 7 მაისამდე იმოქმედებს.

სირიაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება აშშ-სა და რუსეთის შუამავლობით 27 თებერვლიდან ამოქმედდა. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ტერორისტულ ორგანიზაციებზე არ ვრცელდება. ამასთან შეთანხმება სირიის ყველა რეგიონში არ მოქმედებდა. კერძოდ, რუსეთმა უარი განაცხადა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ალეპოს ტერიტორიაზე გავრცელებაზე.

ევროპაში ნატოს ახალმა სარდალმა მოუნოდა, მოემზადონ „აღორძინებად რუსეთთან" ბრძოლისათვის

მისი სიტყვებით, ალიანსი ეჯახება „აღორძინებად რუსეთს, რომელიც ისწრაფვის აჩვენოს თავისი თავი, როგორც მსოფლიო სახელმწიფომ". ბლოკის წევრებისათვის საფრთხის სახით სკაპაროტიმ ასევე დაასახელა ტერორიზმი და კრიზისი ლტოლვილებთან, რასაც ხელს უწყობს ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობა.

კერიმ განაცხადა უკრაინასა და სლოვაკიაში „ჩრდილოეთი ნაკადი-2"-ის ნეგატიური გავლენის შესახებ

„პროექტმა გამოიწვია მეტად გაცხოველებული დებატები ატლანტიკის ორივე მხარეს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, მას აბსოლუტურად ზუსტად ექნება ნეგატიური გავლენა უკრაინაში, სლოვაკიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. ჩვენ ეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან", – თქვა კერიმ, როდესაც ვაშინგტონში გამოდიოდა.

თეთრთავიანი ფსოვის (ფრინველია ასეთი) შეგაკვებამ თვითმფრინავთან პირველად მიგვიყვანა აღამიანთა მსხვერპლთან

შემთხვევა მოხდა 20 აპრილს ალიასკაზე ქალაქ ანკორიჯის მახლობლად. ხომალდის ბორტზე იმყოფებოდნენ ორი პილოტი, აგრეთვე 2 მგზავრი, ყველა მათგანი დაიღუპა. ავარიის ზუსტი მიზეზი დაადგინეს სასამართლო-სამედიცინო ექსერტიზის წყალობით.

სერბიაში დამთავრდა პარლამენტის არჩევნები, სკუპჩინაში შვიდი პარტია გაიდის

ხმების უმრავლესობა – 48, 25 პროცენტი – მოაგროვა კოალიციამ „ალექსანდრ ვუჩიჩი – სერბია იმარჯვებს", რომელიც ჩამოყალიბდა სერბეთის პრემიერ-მინისტრ ვუჩიჩის მმართველი პროგრესული პარტიის გარშემო.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს თურქეთის პრემიერ-მინისტრის მალე გადადგომის შესახებ

ხმები დავუთოღლუს გადადგომის შესახებ გაჩნდა თურქეთის პრეზიდენტთან რეჯეპ ერდოღანთან მისი შეხვედრის შემდეგ, რაც თითქმის 2 საათი გრძელდებოდა. „პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა მიაღწიეს შეთანხმებას ყრილობასთან დაკავშირებით. არ ვფიქრობ, რომ დავუთოღლუ კვლავ იქნება კანდიდატი", – განაცხადა ერთ-ერთმა წყარომ მმართველ პარტიაში.

ტრამპი კონკურენტის გარეშე დარჩა

საოჰაიოს შტატის გუბერნატორი ჯონ კეისიკი, დონალდ ტრამპის ბოლო მოწინააღმდეგე რესპუბლიკური პარტიიდან, აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნების კანდიდატობის უფლების მოპოვების მარათონს ჩამოშორდა. შესაბამისი ინფორმაცია საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ტელეარხმა NBC-მ და სააგენტო „ასოშეიტედ პრესმა" თითქმის ერთდროულად გაავრცელეს.

იმის მიუხედავად, რომ კეისიკი საკმაოდ პოპულარულ გუბერნატორად მიიჩნევა, მან მხოლოდ საკუთარ შტატში მოიპოვა მხარდაჭერა. უფრო ადრე საპრეზიდენტო კანდიდატობის მარათონს ტეხასელი სენატორი ტედ კრუზი ჩამოშორდა, რომელმაც ტრამპთან პრაიმერიზი ინდიანაში წააგო. შესაბამისად, მილიარდერი დონალდ ტრამპი, რომელიც ისედაც ლიდერობდა, დარჩა ერთადერთ კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე.

როგორც ამერიკელი ანალიტიკოსები აცხადებენ, ტრამპს შერკინება დემოკრატების კანდიდატ ჰილარი კლინტონთან მოუწევს. „რამდენიმე რესპუბლიკელმა ლიდერმა უკვე განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერენ დონალდ ტრამპს და უფრო მეტიც, მათ მიანიშნეს, რომ ემხრობიან ჰილარი კლინტონს", – წერს ბი-ბი-სი.

მთავარი... შორისდებულები ყოფილა

მეტყველების სტილების მსგავსება ადამიანებს შორის ხანგრძლივ რომანტიკულ ურთიერთობათა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, ამტკიცებენ ამერიკელი სპეციალისტები.

თვალსაზრისთა და პიროვნულ თვისებათა მსგავსება ადამიანებში ერთმანეთისადმი სიმპათიის განმსაზღვრელი თვისებები რომაა, ამის თაობაზე მეცნიერებმა დიდი ხანია, იციან. ახლა კი აღმოჩნდა, რომ **ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი, რომელიც ადამიანებს ერთი მეორისადმი იზიდავს, თურმე ის ყოფილა, თუ როგორ ვიყენებთ ლაპარაკისას კავშირებს, თანდებულებს, შორისდებულებს და ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „ეს“, „ის“, „იგი“, „რამე“, „ვიყო“, „რა“, „ვიქნები“, „მას“, „და“.**

საიმისოდ, რომ ეს ეფექტი წარმოეჩინათ, მეცნიერებმა, სტუდენტების მონაწილეობით, რიგი ექსპერიმენტი ჩაატარეს. მოხალისეებს რამდენიმე პაემანი უნდა ჩაეტარებინათ, რომელთაგან თითოეული ოთხ წუთზე მეტ ხანს არ გრძელდებოდა. სხვადასხვა სქესის სტუდენტები ერთმანეთს უყვებოდნენ იმის შესახებ, თუ ცოდნის რომელი სფეროს დაუფლებას ცდილობენ, საიდან ჩამოვიდნენ, მოსწონთ თუ არა კოლეჯში და სხვ. იმის მიუხედავად, რომ თითოეულის ლაპარაკი მეორისგან, არსებითად, არ განსხვავდებოდა, სპეციალურმა კომპუტერულმა ალგორითმმა, რომლის მეშვეობით მოგვიანებით საუბრების სტენოგრამები გააანალიზეს, მოხალისეთა მეტყველებაში მსგავსებები და განსხვავებები გამოავლინა. წყვილები, რომელთა მეტყველებაში მსგავსება საშუალოზე მაღლა იყო, ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილს, სხვებთან შედარებით, ოთხჯერ უფრო ხშირად გამოთქვამდნენ.

ნანატრი ვაქცინა

მიკრობიოლოგებმა დენგეს ციების საწინააღმდეგო მსოფლიოში პირველი ვაქცინა შექმნეს.

ვაქცინის შემუშავებას 20 წელი და 1,5 მილიარდი დოლარი დასჭირდა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს უდიდესი მიღწევაა, რადგან მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აზიის, ლათინური ამერიკის, ასევე იაპონიის დაახლოებით 4 მილიარდი მცხოვრებისთვის, ასევე ამ რეგიონის სტუმარი ტურისტებისთვის.

დიეტის... სექსუალური სარგებელი

ძალები, რომლებიც კარგად იკვებებიან და ბევრ კალორიულ საკვებს იღებენ, სექსში იმათზე ნაკლებად აქტიურნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც საკუთარ რაციონს მკაცრად აკონტროლებს.

ეს დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც გამოკვლევა 18-დან 38 წლის ასაკამდე ქალების ორ ჯგუფზე ჩაატარეს. პირველი ჯგუფის წევრები რეგულარულად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იკვებებოდნენ, მეორე ჯგუფის გამოსაცდელები კი დიეტას იცავდნენ. შედეგად დადგინდა, რომ მეორე ჯგუფის ქალები სექსუალურად უფრო აქტიურები იყვნენ.

ამის გარდა, მკვლევარებმა ისიც გაარკვიეს, რომ შიმშილის გრძნობა სექსუალური ურთიერთობიდან გარკვეული ხნით ქრება. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ შიმშილობისას ქალებს სექსუალური ჰორმონები უაქტიურდებათ, სექსის შემდეგ კი ენდორფინები სისხლში კალორიების უკმარისობის კომპენსირებას ახდენენ.

სასიფათო რეპელენტები

მწერების საწინააღმდეგო პრეპარატების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან, აცხადებენ ფრანგი მკვლევარები.

ლაპარაკია ისეთ შენაერთებზე, როგორებიცაა პერეტროიდები, რომლებიც კანის ფორებში აღწევენ, ორგანიზმში გროვდებიან და უაღრესად უარყოფით შედეგს იწვევენ. ამ ნივთიერებებს ხშირად იყენებენ ვეტერინარიისა და ქიმიურ მრეწველობაში რწყილების, ტკიპებისა და ტილების მოსაშორებელი პრეპარატების შესაქმნელად.

გარდა ამისა, აღნიშნული სახეობის რეპელენტები უარყოფითად ზემოქმედებენ ბავშვთა გონებრივ განვითარებაზეც. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომელთა **მშობლები მათ დაცვას მსგავსი პრეპარატების გამოყენებით ცდილობენ, ინტელექტუალური ტესტირების გავლისას გაცილებით დაბალ შედეგს აჩვენებენ.**

პროფილაქტიკა - მომავალი ჯანმრთელობის საწინდარი

აღმოჩნდა, რომ გულისა და სისხლძარღვთა დაავადებების პირველი ნიშნები 5 წლის ასაკში ვლინდება.

თურმე გულის დაავადებათა „სტარტერი“, კერძოდ, ვიტამინ D-ს დეფიციტია, რის შედეგად სისხლში ქოლესტერინის შემცველობა იზრდება. მეცნიერთა აღმოჩენამ ის უაღრესად დადებითი შედეგი მოიტანა, რომ გულისა და სისხლძარღვების პრობლემების პროფილაქტიკის დაწყება ბავშვობიდანვე, ჯერ კიდევ მათ გაჩენამდეა შესაძლებელი.

მაკურნალი სანელებელი

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ინდური სანელებელი კურკუმინი დიაბეტის პოტენციული წამალია.

ინდოეთში კურკუმინს ხალხი საუკუნეების მანძილზე იყენებს იარების მოსაშუშებლად, მე-2 ტიპის დიაბეტის განვითარების შესაჩერებლად.

აღმოჩნდა, რომ კურკუმინი თანამედროვე წამლებზე არანაკლებ ეფექტიანად მოქმედებს, თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, არც თანამდევი უარყოფითი მოქმედებები არ ახასიათებს.

ვნებანი ხორცის გამო

ბრიტანელთა 60 პროცენტი უარს ამბობს წითელი ხორცის მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ის ზედმეტად ცხიმიანია, რის გამოც ჯანმრთელობისთვის საშიშია.

გამოკითხულთა ორი მესამედი ამტკიცებს, რომ ქა-

თამი საქონლის შემწვარ და ბატკნის ხორცზე ნაკლებად ცხიმიანია.

მაგრამ, დიეტოლოგები აცხადებენ, რომ წითელი ხორცის ცხიმიანობა 10 პროცენტს არ აღემატება, ამდენად ქათმისაზე მეტად ქონიანი არ არის.

არადა, წითელი ხორცის ჭამაზე მთლიანად უარის თქმა კარგი არ არის, რადგან ის ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებათა მნიშვნელოვანი წყაროა. ამდენად, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ხორცისგან დამზადებული კერძის მირთმევა ორგანიზმისთვის სრულიად უსაფრთხოა.

ვარსკვლავური შემოსავალი

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა იქაური ცნობილი ყველაზე მდიდარი და შემოსავლიანი ადამიანების რეიტინგი გამოაქვეყნეს.

აღმოჩნდა, რომ სპორტისა და შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს შორის ყველაზე დიდი შემოსავალი შარშან ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** მიიღო – 2014 წელს მან ტურნირში მონაწილეობისგან საპრიზო ჰონორარების, რეკლამიდან და საკუთარი ბიზნესიდან მთლიანად 29,7 მილიონი დოლარი მიიღო. წარმოშობით ქართველის, რუსეთელი მომღერლის **გიორგი ლეფსის** (ლეფსვერიძის) შემოსავალმა შარშან 12,2 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო სამეულის ჩამკეტმა **ფილიპე კირკოროვმა,** ამ „ბოშა ქალისთვალება ანგელოზმა“, 10,4 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

სიგარეტი და... სმენა

კიდევ ერთხელ იმის მტკიცებას, რომ თამბაქოს მოწევა ჯანმრთელობას ვნებს, თვალის ერთი გადავლებით, საჭირო არ არის, მაგრამ, ამის მიუხედავად, მეცნიერები ამ სამწუხარო ფაქტის დამადასტურებელ ახალ-ახალ მტკიცებულებებს აგნებენ.

რა თქმა უნდა, იმ ზარალთან შედარებით, რასაც თამბაქოს მოწევა ჩვენს ფილტვებს, გულსა და სისხლძარღვებს აყენებს, სხვა უსიამოვნებები წვრილმანად აღიქმება. და მაინც, ვიღაცისთვის ყოველი ახალი არგუმენტი შეიძლება სწორედ ის ბოლო წვეთი გახდეს, რომელიც ამ მავნე ჩვევას ერთხელ და სამუდამოდ გადააგდებინებს.

ცოტა ხნის წინათ ამერიკელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ **თამბაქოს მოწევამ სიბერეში შესაძლოა, სმენის ნაწილობრივ დაკარგვა გამოიწვიოს.** ხუთი წლის კვლევების შედეგად, რომელთა დროს საშუალო და უფროსი ასაკის ოთხი ათას პაციენტს აკვირდებოდნენ, დადგინდა, რომ მწეველი ასაკოვანი ადამიანები, არამწეველებთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირად ნაწილობრივ ყრუვდებიან.

შეგარგოთ!

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი რუსეთული ონლაინ-ტურისტული სააგენტოს „ტრიპსტას“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, იქაური ტურისტებისთვის ქართული სამზარეულო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია.

გამოკითხვის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რომელ ქვეყანაშია კერძები სხვებზე გემრიელი, სად კიდევ სიფრთხილეა გამოსაჩენი რესტორნებისა და საკვების არჩევისას. პირველ ადგილზე გავიდა იტალიური სამზარეულო, რომელიც რუსეთელ მოგზაურთა 25 პროცენტს ურჩევნია დიდი ულუფების, ახალი სურსათისა და ზომიერი ფასების გამო. ქართულ სამზარეულოს უპირატესობა მიანიჭა გამოკითხულთა 14 პროცენტმა, რომლებიც ჩვენებური კერძების სადავესა და ინგრედიენტების ნატურალურობას ანიჭებენ უპირატესობას, განსაკუთრებით კი ხორცისა და ბოსტნეულის საჭმელებს გამოყოფენ. პოპულარობით მესამე ადგილზე აღმოჩნდა ესპანური სამზარეულო (11 პროცენტი), სადაც რუსეთელი მოგზაურების ზღვის პროდუქტების კერძები მოსწონთ. 9 პროცენტმა კი ფრანგული სამზარეულო მოიწონა, თუმცა კი იქაური პატარა ულუფების მაღალი ფასები, ცხადია, კრიტიკის სამიზნეა.

ყველაზე არაპოპულარული აღმოჩნდა გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიის ქვეყნებისა და მექსიკის სამზარეულოების კერძები. ეგვიპტეში, თურქეთსა და ტაილანდში კვება მოსაწყენად ერთფეროვანია, თანაც ხშირად უხარისხო, რასაც მოწამვლის მრავალი შემთხვევა მოწმობს. ბრიტანულ სამზარეულოს კი ბევრი ტურისტი სიმტკნარესა და სიძვირეს უწუნებს.

„ყიყ-ლი-ყოო!“

მამლის ყივილს ყველა ერი ისე აღიქვამს, კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოს დედამიწის სხვადასხვა მხარეში ალიონის ეს მაუწყებლები, მზის ამოსვლას ქვეყანას სხვადასხვა ენაზე ამცნობენ.

არადა, საქმე ის კი არ არის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მამლები სხვადასხვანაირად ყივიან, არამედ ის, რომ სხვადასხვა ხალხები ამ ყივილს განსხვავებულად იწერენ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენებური „ყიყლიყო!“ ამა თუ იმ ქვეყნის ენის თავისებურების გამო, იცვლება მასზე მოლაპარაკე ხალხის მიერ ბგერების აღქმა.

აი, როგორ აღიქვამენ მამლის ყივილს სხვადასხვა ქვეყანაში:

იტალია: „ჩი-კი-რიჩი!“, **ისლანდია** „გა-გა-ლაგო!“, **ესპანეთი:** „კი-კი-რიკიი!“, **პორტუგალია:** „კო-კო-როკო!“, **საფრანგეთი:** „კო-კო-რიკო!“, **ჩინეთი:** „ვო-ვო!“, **გერმანია** „კი-კე-რიკი!“, **დანია:** „კი-კი-ლიკი!“, **იაპონია:** „კოკე-კოკ-კო!“, **ინგლისი:** „კოვ-ა-დუდლ-დუ!“, **შვედეთი:** „კუ-კე-ლიკუ!“, **„ფილიპინები:** „ტიკ-ტი-ალოკ!“, **ნეპალი:** „კუ-კუ-რიკან!“, **ჰოლანდია** „კუ-კე-ლეკუ!“

◎ წყალბურთი

ფინალის ორი საგზურისთვის

თბილისის **საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ხუთი ნაკრები (საქართველო, საფრანგეთი, სლოვაკეთი, ბელარუსი და ფინეთი) ჩაეება ამ ასაკის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში. შეჯიბრებამ ის ორი გუნდი უნდა გამოავლინოს, რომლებიც წლეულს 11-18 სექტემბერს ჰოლანდიაში ფინალურ ეტაპზე მოსინჯავენ ძალებს.**

თბილისური ბატალიების ფავორიტებად ფრანგებსა და სლოვაკებს მიიჩნევდნენ. ჩვენებმა პირველ ტურში სწორედ ფრანგებს მოუგეს.

საქართველო-საფრანგეთი 13:4 (4:1, 2:2, 4:1, 3:0)

საქართველო: ირაკლი რაზმაძე, თედო შავშიშვილი, გიორგი ღავთაძე, რევაზ იმნაიშვილი (5), სანდრო ადეიშვილი (2), ანდრია ბითაძე, ვაჟა ფურცელაძე, ლევან მოსაშვილი, გიორგი მესხი (1), გიორგი მაგრაქველიძე (3), ნიკა შუშიაშვილი (2), დავით ცხაკაია, ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი.

საფრანგეთი: ილიე ლავინი, ჟერემი ბუგანემი, ალექსანდრ გრიმალდი (1), ადრიენ მენიტონი, რუბენ ოსტაში, ჟოსელინ მუტამბაი, დავიდ კაუმე (1), მარვინ ეტიენი, ფიშე დე კლარფონტეინი (1), ილიან ზაუი, თეო ბროტიე, პიერ შანდიეუ (1), მარტინ ლაუნაუ.

ორთაბრძოლა ქართველთა იერიშებთ დაიწყო და ამ მატჩის ბომბარდირმა იმნაიშვილმა ფრანგების კარში ზედიზედ სამი გოლი გაიტანა. მე-5 წუთის მიწურულს გრიმალდიმ ერთი ბურთი გაქვითა. პირველი პერიოდის ბოლომდე მესხმა სამბურთიანი სხვაობა აღადგინა. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში თანაბარი პაექრობა იყო, ხოლო მესამე და მეოთხე პერიოდებში მასპინძლებმა იძალეს და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს. **ტურის მეორე მატჩში სლოვაკებმა ბელარუსებს სძლიეს — 12:10 (4:3, 4:3, 0:0, 4:4).**

ლექსო ციწცაძე

◎ მსოფლიო რბენა

ლოპოტაში - „ფინიშმანქანის“ გადასწრებამდე

მასშტაბური **მსოფლიო საქველმოქმედო ღონისძიება — Wings for Life World Run წლეულს 8 მაისს გაიმართება. 6 კონტინენტის 33 ქვეყნის ასი ათასზე მეტი მორბენალი დადგება სტარტზე. რბენის დღის უნიკალურობა ის არის, რომ განუსაზღვრელია ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ტრადიციული ფინიშის ხაზი.** არის მხოლოდ „ფინიშმანქანა“, რომელიც სტარტიდან 30 წუთში დაიძვრება და 15 — 20 — 25 კმ/ს სიჩქარით იმოძრავებს. როგორც კი „ფინიშმანქანა“ მორბენალს გადაუსწრებს, ის შეჯიბრებას გამოეთიშება. ამ ღონისძიებისგან http://www.wingsforlifeworldrun.com/ შემოსული თანხა კვლავ სრულად გადაერიცხება Wings for Life-ის ფონდს, რომელიც ზურგის ტვინის დაზიანების სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს აფინანსებს.

ჩვენთან მსოფლიო რბენის დღე ისევ კახეთში — ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გასწვრივ უკვე მესამედ გაიმართება. შარშან მსოფლიო რბენაში 5000 ქალ-ვაჟი მონაწილეობდა, წლეულს კი მათმა რაოდენობამ 5700-ს გადააჭარბა. 2016 წელს მოასპარეზეთა შორის იქნება ბრაზილიელი ხუან პაბლო დე ლიმა კოსტა სალაზარი, რომელმაც შარშან სამშობლოში 52 კილომეტრი გაირბინა. „საქართველოს პეიზაჟებმა და მდიდარმა ისტორიამ მომხიბლა, — ამბობს ინტერვიუში სალაზარი. — ისიც გავიგე, რომ კახეთი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში, სადაც ღვინის დაყენება დაუწყიათ. მე ძალიან მიყვარს ღვინო, რაც ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა ჩემთვის და გადავწყვიტე, 2016 წელს ქართველებთან ერთად მერბინა. წლეულს 65 კილომეტრის გარბენას ვგეგმავ. ვიმედოვნებ, რომ მსოფლიო კიდევ უფრო გაერთიანდება ზურგის ტვინის დაზიანების კვლევების დასაფინანსებლად. როგორც ბრაზილიის უნივერსიტეტის პროფესორმა და მკვლევარმა, თუმცა სხვა სფეროში, კარგად ვიცი, რა ძნელია კვლევებისთვის თანხის მოძიება. ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდ საქმეში ჩემი მოკრძალებული წვლილიც იქნება“.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

მილანის ესპანური გაზაფხული

„სამეფო კლუბი“ მეთოთხმეტედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და 28 მაისს მილანში „ატლეტიკოსთან“ დანიშნულ მადრიდულ დერბიში შეეცდება ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის მეთერთმეტედ მოგებას.

„რეალი“ — „სიტი“ 1:0

(პირველი მატჩი 0:0)

გოლი: ბეილი (მე-20 წუთი).

საპატიო სტუმართა ლოჟაში თვით ესპანეთის მონარქი იწონებდა თავს, ეს კი დამატებით სტიმულს წარმოადგენდა მასპინძელთათვის. დაუმატეთ ამას გადაჭედილი „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნები და მიხვდებით, რამხელა უპირატესობა ჰქონდა ზინედინ ზიდანის გუნდს მინდვრის მიღმა.

რაც შეეხება თვით სარბიელზე განვითარებულ მოვლენებს, სლოვენიელი მსაჯის სკომინას საფინალო სასტვენამდე უცნობი იყო, როგორ დასრულდებოდა ღირსეულ მეტოქეთა ორრაუნდიანი დუელი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დასკვნითი აკორდის ზღურბლთან ვინმესთვის წინასწარ ფავორიტის იარლიყის მიწებება პირობითი მცნებაა და განწირული არავინაა.

გიორგი შოთაძე

◎ სპორტული ტანვარჯიში

მხოლოდ თბილისი და ქუთაისი

თბილისის **ტანვარჯიშის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის ღია პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში (მთავარი მსაჯი ილია ვაშაკიძე) თბილისისა და ქუთაისის სატანვარჯიშო სკოლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მასპინძელთა ღირსებას 18 გოგონა და 16 ვაჟი იცავდა, ხოლო რიონისპირელთაგან მედლებისთვის 6-6 გოგონა და ვაჟი იბრძოდა. სპორტის ოსტატის პროგრამით გოგონებსა და ვაჟებში მხოლოდ თითო წარმომადგენელი იყო — ნინო ჩქარეული და საბა აბესაძე (ორივე-თბილისი).**

გოგონები

სპორტის ოსტატობის კანდიდატი: 1. მარიამ ფერაძე, 2. ანა შევარდენიძე (ორივე-თბილისი).

I თანრიგი. ეკა ბაღაღოშვილი (თბილისი), **II თანრიგი.** 1. ელიზა მანაგაძე და ანანო გრიგორჩუკი (ორივე — ქუთაისი), 2. ლიზი ქორქია (თბილისი) და ხატია ტუკკვაძე (ქუთაისი), 3. მარიამ კილაძე (ქუთაისი). **III თანრიგი.** 1. მარი ანთაძე, 2. თეკლა ხელაია (ორივე-ქუთაისი), 3. ნინო მამადაშვილი (თბილისი). **მოზარდთა I თანრიგი.** 1. ნინო ბატატუნაშვილი, 2. მარიამ თიღილაური, 3. მარიამ აბულაძე. **II თანრიგი.** 1. თინი ტყემალაძე, 2. ლიკუნა ქუთათელაძე, 3. ქრისტი ქარცივაძე
.

ვაჟები

სპორტის ოსტატობის კანდიდატი. 1. ბიძინა სიჭინავა, 2. იოანე ჯიმშელეიშვილი, 3. ლევან სხილაძე. **I თანრიგი.** 1. ნიკოლოზ ჭელიძე, 2. ვატო დუდუჩავა. **II თანრიგი.** 1. დაჩი დოლიძე, 2. ნიკოლოზ ნოზაძე, 3. ნიკოლოზ გერგედავა (ყველა — თბილისი). **მოზარდთა I თანრიგი.** 1. კოტე ბაღაღოშვილი, 2. ლუკა მღვდელაძე, 3. საბა მამადაშვილი. **II თანრიგი.** 1. ანდრია კიბირია (თბილისი), 2. გიორგი გორგილაძე (ქუთაისი), 3. გიორგი გელიაშვილი (ქუთაისი), **III თანრიგი.** 1. საბა წოწონავა, 2. გიორგი კილაძე, 3. ლაშა უგრელიძე (სამივე-ქუთაისი).

გივი გაგუა

სურათზე: მარიამ თიღილაური მწვრთნელ ჯინა გვაჯავასთან ერთად.

◎ ძალოსნობა

წონა - 10, მონაწილე - 95

17-წლამდელ **ძალოსანთა საქართველოს პირად-გუნდულ პირველობაში (მთავარი მსაჯი კობა ტალახაძე), რომელსაც საჩხერემ უმასპინძლა, სხვადასხვა რეგიონის 95 წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის ათ წონით კატეგორიაში. ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:**

40 კგ: 1. გოგიტა შარაშიძე (აჭარა) — 97 (43+54), **45 კგ:** 1. ზურაბ შეყლაშვილი (საჩხერე) — 109 (49+60), **53 კგ:** 1. მანუჩარ გოგოხია (ზუგდიდი) — 148 (70+78), **56 კგ:** 1. გურამ გიორბელიძე (ქუთაისი) — 192 (87+105), **62 კგ:** 1. ლომია თებიძე (აჭარა) — 215 (94+121), **69 კგ:** 1. ზურაბ ბარელაძე (საჩხერე) — 252 (110+142), **77 კგ:** 1. ედუარდ კაკაბაძე (ქუთაისი) — 238 (108+130), **85 კგ:** 1. ნოდარ კაკაბაძე (ქუთაისი) — 280 (127+153), **94 კგ:** 1. ირაკლი ჩხეიძე (ზუგდიდი) — 329 (145+184), **+94 კგ:** 1. თორნიკე ტაბატაძე (ხაშური) — 268 (123+145), **გუნდური:** 1. აჭარა (244), 2. თბილისი (225), 3. ქუთაისი (223 ქულა).



პირველობის გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა დააჯილდოვა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ კობა ტალახაძეს და გიორგი ასანიძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა. საგულისხმოა ისიც, რომ საჩხერეში საფუძველი ჩაეყარა ახალი დარბაზის მშენებლობას და მომავალი წლისთვის ეს ნაგებობა მწყობრში ჩაგდება, საჩხერის მუნიციპალიტეტმა კი (გამგებელი მალხაზ ბაზაძე) მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ლაშა ტალახაძეს ფულადი პრიზის სახით 2 000 ლარი გადასცა.

თამაზ პატარიძე

სულთათანა

მაგალი თოდუა

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **მაგალი არეს ძე თოდუა**.

მაგალი თოდუა ქართველ ირანისტთა სკოლის ერთ-ერთი აღიარებული, უბრწყინვალესი წარმომადგენელი გახლდათ, ბოლო ათწლეულებში კი — ამ სკოლის ლიდერი და წინამძღოლი. მან და მისმა თანამოაზრეებმა ახალი უმნიშვნელოვანესი ფურცელი ჩაწერეს ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. უფრო მეტიც, მათ ახალი იმპულსები მისცეს ამ ორი, ერთმანეთისადმი ოდესღაც მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ურთიერთობას და ყველას დაანახვეს, რომ მეგობრულ, კეთილმეზობლურ, უაღრესად საჭირო და საქმიან კავშირებს რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს...

მაგალი თოდუა დაიბადა 1927 წლის 19 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში. 1944 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1949 წელს დაასრულა. მას შემდეგ მაგალი თოდუა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მისი შრომითი საქმიანობა ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. 1961 წლამდე იგი თსუ თანამშრომელი გახლდათ, იყო თსუ სპარსული ფილოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი და ლექციებს კითხულობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურაში. 1961 წლიდან, როდესაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, მაგალი თოდუა წლების განმავლობაში იყო ჯერ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, შემდგომ კი — სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგე. ამავე დროს მაგალი თოდუა არჩეული იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მისი დიდი ძალისხმევითა და ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, რომლის პირველი პრეზიდენტი თავად იყო. იგი იყო გელათის აკადემიის ჟურნალის დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი, ჟურნალ „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორი. ყველგან, სადაც კი იღვაწა ამ ჭეშმარიტად ინტელიგენტმა პიროვნებამ, ყველგან ღრმა კვალი გაავლო, როგორც ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულმა დიდმა პროფესიონალმა...

ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას მაგალი თოდუა 1944 წლიდან ეწეოდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი თარგმანები სპარსული პოეზიისა. სწორედ მდიდარი და ფესვმაგარი სპარსული პოეზია იქცა მისი შთაგონების წყაროდ და მის თარგმნას შეალია მთელი სიცოცხლე.

ქართველი მკითხველი სწორედ მაგალი თოდუას თარგმანებით გაეცნო სპარსული კლასიკური პოეზიის ისეთი კორიფეების შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს, როგორნიც იყვნენ ფირდოუსი, ომარ ხაიამი, ხაკანი შირვანელი, ფაროხი, ჰასან ღაზნელი, ნიზამი განჯელი, რუდაქი, შაჰიდ ბალხელი, ჰაფეზი, დაყიყი, მანუჩეჰრი, ნასერ ხოსრავი, მასჰუდ საად სალმანი, სანაი, ანვარი, ათარი, ჯელალ ედ-დინ რუმი, აიათოლა ჰომეინი. ზოგიერთი მათგანის პოეზია ცალკე წიგნადაც გამოსცა. ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა სპარსული პოეზიის შედევრების ორტომეულის გამოცემა, რომელსაც მაგალი თოდუამ სული და გული ჩააქსოვა.

ამავე დროს მაგალი თოდუა დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ირანისტიკის დარგში. 1954 წელს მონოგრაფიული გამოკვლევისათვის „გოლესთანის“ მიბაძვანი სპარსულ ლიტერატურაში“ მას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, ხოლო ნაშრომისათვის — „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია“ — დოქტორისა (1967 წ.).

სპარსული მწერლობის სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებად იქცა მაგალი თოდუას ისეთი გამოკვლევები, როგორიცაა „ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (სამტომად), „ქილილა და დამანა“, „ვისრამიანი“, „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“...

მაგალი თოდუას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ ბწკარედული თარგმანი სპარსულად, რომელიც შემდეგ ირანელმა პოეტმა იუსებ ფურიმ აამეტყველა ლექსად. მაგალი თოდუამ პროზაულად თარგმნა ჯამის „იოსები და ზოლეიჰა“. ბატონმა მაგალიმ გამოსცა მრავალმხრივ საინტერესო წიგნი — „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

მაგალი თოდუას არაერთი წიგნი ითარგმნა სპარსულ ენაზე. იგი პირველი ქართველი ირანისტი გახლდათ, ვინც ირანის შაჰს მოჰამედ რეზა ფეხლევის შეხვდა.

ის ფაქტი, რომ თავად ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ მიანიჭა ბატონ მაგალის „მსოფლიოს საუკეთესო ირანისტის“ პრემია, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ამავე დროს მაგალი თოდუას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემიები, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. არჩეული იყო მარტვილის საპატიო მოქალაქედ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, მხცოვანი, ამაგდარი შემოქმედი და ერისკაცი, რომლის ნათელი სახება ძალიან დიდხანს დარჩება ქართველი მწერლების ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და აღმოსავლური პოეზიის ერთ-ერთი სწორუპოვარი მთარგმნელი

მაგალი თოდუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ დიდად დაამწუხრა თვალსაჩინო ფილოლოგის, აღმოსავლური კლასიკური პოეზიის უბადლო მთარგმნელის

მაგალი თოდუას

გარდაცვალებამ და გულწრფელად უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ტკივილი

კანდიდ თარბა აფხაზებთან ერთად ქართველებმაც დაკარგეს



გარდაიცვალა **კანდიდ თარბა**, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, აფხაზეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „კავკასიას“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, აფხაზეთში პროფესიული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისათვის დამაშვრალი კაცი.

კანდიდ თარბა წლების განმავლობაში ძმასთან ერთად ლეგენდარული „სუხიშვილების“ ანსამბლის სოლისტი იყო. სწორედ სუხიშვილების ანსამბლში ჩამოყალიბდა ის ამ დარგის ვარსკვლავად, ამის შემდეგ გახდა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი. 1990 წელს კი კანდიდ თარბამ შექმნა ხალხური ცეკვის ანსამბლი „კავკასია“, რომელმაც თავისი საშემსრულებლო კულტურით მეტი მრავალფეროვნება შესძინა ძველ, მაგრამ მარად ახალგაზრდა ხელოვნებას.

კანდიდ თარბა ოჩამჩირელი თარბების წრიდან იყო, იმ ტრადიციებით შთაგონებული თარბების წრიდან, რომლებზეც პოეტი შოთა ნიშნიანიძე წერდა:

„ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან“...

„აფხაზურ-მეგრული“ ტრადიციებით გაზრდილი კანდიდ თარბაც მთელი ცხოვრება ორივე ხალხის ერთგული დარჩა. აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგაც მასთან შეხვედრას ენით აუწერლად ემოციურს უწოდებდნენ მისი სოხუმელი ქართველი მეგობრები, კანდიდ თარბას არა თუ განელებოდა მათი სიყვარული, არამედ გამძაფრებოდა კიდეც. ის იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე არა მხოლოდ მეოცნებე, არამედ მზრუნველიც: სოხუმში აფხაზ მოზარდებს ქართულ ცეკვებს ასწავლიდა და ქართული კულტურის თანაზიარს ხდიდა, რითაც შესაძლოა ქართველებთან გაუცხოების „მითის“ დამსხვრევას ცდილობდა.

კანდიდ თარბას უყვარდა ენგურს გამოღმა საქართველოც და ომის მერეც თამამად გადმოდიოდა გამოღმა, რადგან ქართველი მეგობრებისთვის თვალის გასწორების არ ერიდებოდა. ბევრს ეიმედებოდა, რომ სწორედ მისნაირ დიდ ადამიანებზე დაყრდნობით შეიძლებოდა აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა.

ამიტომაც კანდიდ თარბა აფხაზებთან ერთად ქართველებმაც დაკარგეს. ამიერიდან ის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის იმედსაც დააკლდება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ვახტანგ ყოლბაია,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელით
დიმიტრი ჯაიანი

ხსოვნა

მანანა ზოტიკიშვილი

სიცოცხლე ქარიშხალია, სიკვდილის მეხის დაცემა... მძიმეა, უკვე მერამდენედ ილაპარაკო იმქვეყნად წასულ თანაკლასელებზე.

სამწუხაროა, რომ ერთი წლის წინ სიცოცხლე შეწყვიტა კიდევ ერთმა, უმშვენიერესმა, კეთილმა თანაკლასელმა და მეგობარმა **მანანა ზოტიკიშვილმა**.

დუშეთში, საუცხოო ოჯახში აღზრდილმა ოქროსმედალოსანმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთარებულმა ექიმმა შექმნა ლამაზი ოჯახი, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე ჰამლეტ კერესელიძე, სამი ულამაზესი შვილი და ორი შვილიშვილი. გამორჩეული სიყვარულით თავს ევლებოდა უსაყვარლეს და-ძმას მედიკოს და მირიანს.

კერესელიძეების უფროსი ვაჟი შალვა სამაგალითო შვილი, ძმა და მეგობარია, ქალიშვილი ნატო კი ლამაზი ქმარ-შვილის პატრონი. მესამე, უმწეო მდგომარეობაში მყოფი შვილი დათო, ყველას ტკივილია. ბოლო ხანს ჩვენი მანანა თვითონ მძიმე სენით დაავადებული, თავდაუზოგავად უვლიდა ინსულტგადატანილ მეუღლეს, ყველას გვამხნევებდა, სიკვდილს ჩუმად ებრძოდა, მაგრამ ვერსად დაემალა და სანთელივით გაქრა. ვიცით, მას იმქვეყნად ბევრნი დახვდებიან, გულში ჩაიკრავენ, მოეფერებიან, გამორჩეულად ულამაზესი თანაკლასელი მანანა სუარიძე შეეგებება.

ნეტავ იცოდეთ, როგორ გვიყვარხართ და, როგორ გვენატრებით ჩვენო გოგონებო და ვაჟკაცებო!

ღირსეულია ის, ვინც უფლის მიერ განსაზღვრულ მისიას გამართლებს და ეს თქვენ გეხებათ.

დიდი მადლობა იმ სიყვარულისთვის, რაც თქვენ გადვიტოვეთ. ნათელი გზით იარეთ და საუკუნო სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა.

თქვენგან დამწუხრებული თანაკლასელების სახელით,
ძეთევან კობიაშვილი

განცხადება

სს „ტრანსმშენი“ ატარებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2016 წლის 25 მაისს დღის 11 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2016 წლის 05 მაისი.

დღის წესრიგი:

1. 2015 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2016 წლის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღურების შესახებ;
6. სხვადასხვა.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — ს.ს. „კავკასრეესტრში“, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №74ა. ტელ.: 2 22 07 49; 2 251 876.

სს „ტრანსმშენის“ მმართველი დირექტორი
თამაზ კოტიშაძე

ამოღებულია დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ვახტანგ ფ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის

პირადი ჩხრეკისას 6,4096 ჰეროინი, ბუპრენორფინის შემცველი 0,0055 გრ ნარკოტიკული საშუალება, 0,00615 გრ მეტამფეტამინი და 0,0710 გრ მეტადონი ამოიღეს.

◎ ისტორიის ნამცვრევები

ლოთი და ტაკიმასხარა

საბჭოთა დელეგაცია, უნგრეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის დელეგაციებთან ერთად, ხომალდ „ბალტიკით“ მიემართება ნიუ-იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე...

... ხანდახან, მთელი დღე ლოთობის შემდეგ, ხრუშჩოვს დაუოკებელი მხიარულება მოეძალებოდა. მისი ყველაზე ხშირი თანამეინახე იანოშ კადარი იყო, რომელსაც არანაკლებად უყვარდა ყლურწვა. ნიკიტა დღეში რამდენჯერმე მიაკითხავდა ხოლმე კადარის კაიუტას. საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნიკიტა ხრუშჩოვი უღმერთოდ ლოთობს. საერთოდ ის ბევრს სვამდა – არაყს, ღვინოს, კონიაკს, მაგრამ ერთი კი იყო, უცებ არ თვრებოდა.

ხრუშჩოვმა გაეროში კარგა ხანს დაჰყო.

მან სიტყვით გამოსვლის ყველა რეკორდი მოხსნა. სესიის განმავლობაში თერთმეტჯერ მიმართა ასამბლეას. მისთვის წესები არ არსებობდა. ეს უმალ წარმოჩნდებოდა ხოლმე, მისი ტაკიმასხარობის შემხედვარე. ერთი ასეთი შემთხვევა საქვეყნოდ გახდა ცნობილი.

... ხრუშჩოვი სრულიად გამოვიდა წონასწორობიდან, დაივიწყა ზრდილობის ყველა ნორმა და ტრიბუნაზე მდგომ ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თავს დაატყდა შეურაცხმყოფელი რეპლიკებით, ყვიროდა და მუშტებს აბრახუნებდა. ამ სცენამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა ხრუშჩოვმა ფეხსაცმელი წაიძრო და გამაყრუებლად დასცხო მაგიდას, საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებიც აჰყვნენ ღრიალში, მაგრამ ფეხსაცმლის გახდამდე არავინ მისულა.

... როცა ესპანელი მინისტრი თავის სკამთან დაბრუნდა, ხრუშჩოვი, რომელიც თავს ვეღარ აკონტროლებდა, წამოხტა და მუშტების ქნევით ეცა გამწლიკულ, კაფანდარა ესპანელს. მან მოკრივის თავდაცვის კომიკური პოზა მიიღო, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს და მოჩხუბრები გააშველეს.

ხრუშჩოვის ქცევამ ყველა გააოგნა, მთელი საბჭოთა მისია გენერალური ასამბლეის დახურვის შემდეგ თავზარდაცემული და დარცხვენილი იყო. გრომიკოს, აუღელვებლობით ცნობილს, ტუჩები თეთრი ჰქონდა. მხოლოდ ერთი, ხრუშჩოვი იქცეოდა ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხმამაღლა ჭიხვინებდა და ხუმრობდა, ამბობდა, გაეროს დამყაყებულ ატმოსფეროს გამოცოცხლება სჭირდებაო. აშკარად ჩანდა, რომ მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო, რას იფიქრებდნენ მასზე გაეროს სხვა წევრები.

ჰიტლერის ნეშტი გაანადგურეს

1970 წლის 13 მარტს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ იური ანდროპოვმა სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს საიდუმლო წერილით წინადადება მისცა გაენადგურებინათ ჰიტლერის, ევა ბრაუნისა და ჰებელსის ოჯახის წევრთა ნეშტები, რომლებიც სპეციალური კონტეინერებით ჩაფლული იყო საბჭოთა სამხედრო ქალაქ მაგდებურგის ტერიტორიაზე (გდრ). ბრეჟნევმა თანხმობა მისცა – ძვლები გაანადგურეს და უკვალოდ გააქრეს.

მოამზადა
სანდრო ალექსიძემ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკი კიტრზე გიჟდება

ძვემოძართელ მებოსტნეს ისე არ „ამჩატებს“ კიტრის სეზონის დადგომა, როგორც ეს გულბოყვდამწველ რუს მოდელს ირინა შეიკს ახარებს. როგორც წარსულში კრიშტიანუ რონალდუს გულის სწორი ლამაზმანი ამბობს, კიტრის გულით შექმნილი სახის ნიღაბი მისი სილამაზის ერთ-ერთი საიდუმლოა.

ირინა შეიკი რამდენად არის კიტრზე და კიტრის სასწაულმოქმედებაზე დამოკიდებული – ეს მოდით მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ ის კი ცნობილი ამბავია, რომ ეს გოგო ყოველთვის უარყოფდა სახის მოვლის ქიმიურ საშუალებებს და მის სახეზე ოფლსა და ცრემლს უფრო ხშირად ნახავთ, ვიდრე ქიმიურ საღებავებს.

ირინა შეიკი ასევე აქტიურად უჭერს მხარს მაკიაჟის საწინააღმდეგო კამპანიას და მრავალ ევროპელ მანდილოსანთან ერთად ხმამაღლა აცხადებს, რომ მაკიაჟის ზეობის ხანა უნდა დასრულდეს, რამეთუ ეს საშუალება საბოლოო ჯამში კანის ნაადრევ დაბერებას და ათას უბედურებას იწვევს.

როსტომ რაჭველიშვილი



◎ კაკალ გულში

„კოლექტივი კარგია, მაგრამ“...

● ეს რესპუბლიკელები ისეთ განცხადებებს ავრცელებენ, რომ მგონი, თავიანთი ამომრჩეველი ამსტერდამის ვარდების ბულვარის მცხოვრებლები ჰგონიათ.

● საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილა, თურმე...

ჩემმა აქაურმა მეგობარმა თქვა ახლახან.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა.

კიდევ კარგი, ტელევიზორს ვუყურებ დროდადრო.

● ირინა იმერლიშვილი პრეზიდენტის ოდეერია (офицер действющего резерва)?

აფიცერი როა, კი ვიცი.

● ფული სწორად გადაიხადა იმ ქვა – ღორღიან ადგილის საყიდლად, მარა მერე რაღაცებს რომ გააკეთებს, ხომ გაძვირდება ეგ ადგილი და გამოდის იაფად იყიდაო....

საუკუნეები ჭირდება კლდეების წარმოქმნას, ეს კიდევ ერთი ხელის მოსმით „საუკუნოვან“ ჩვენს პიტალო კლდეს ანგრევს!....

ამეებს და კიდევ ამაზე უარეს სისულელეებს მოისმენთ, თუ გადმორთავთ და გვიყურებთ „რუსთავი-2“-ზე!

● ახალი შვეიცარიული მატარებელი მოემსახურება საქართველოს მოსახლეობას ზაფხულის სეზონიდან , ევროპული დონის კომფორტით, ორი სართულით, თან ისეთ საამო ხმებს

გამოსცემს იმ ტრადიციული რახარუხის მაგივრად, თითქოს იძახისო, ბი ძი ნა, ბი ძი ნა, ბი ძი ნა..... დატორმუზებისას აქვს ცოტა მურტალი ხმა – ერთს დაიქშინებს და მიშაااა... ამოიოხრებს.

● ალბათ, გახსოვთ ფილმი „შეხვედრა წარსულთან“, იპოლიტე ხვიჩიას გმირი ამბობს „კოლექტივი კარგია, მაგრამ იზაციის მეშინიაო.“ მოქნილი თავდაცვა კარგია, ნატოზაციის რომ არ გვეშინოდეს.

ისე კი, რამდენი ქვეყანაა პლანეტაზე ჩვენზე პატარაც კი, ნატოს წევრი არ არის, მაგრამ თავს შესანიშნავად იცავს.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ინტერნეტი სიცოცხლეს ჰგავს: არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ წასვლა არავის არ უნდა.

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– აღარასოდეს წავყვები ჩემ ქმარს სათევზაოდ! ჯერ იყო, მეჩხუბა იმის გამო, რომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი და მთელი თევზი დავაფრთხე, მერე ანკესი არასწორედ რომ მეჭირა და თევზის ამოყვანასაც ადრე ვიწყებდი. ბოლოს კი სულაც საშინელება იყო: აღმოჩნდა, რომ მე მასზე მეტი თევზი დავიჭირე...

* * *

ცოლი: – ხომ გეუბნებოდი, მართვის მოწმობას მაინც ავიღებ-მეთქი! ახლა მანქანასაც ვიყიდი ჩემი ფულით! იქნებ ის მაინც მითხრა, რომელი მომიხდება უფრო?

ქმარი: სარეცხის!

* * *

– **თქვენი** ცოლი, ბატონო ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება!

– აბა რა! ხომ იცით, სისხლისმსმელები არ ბერდებიან!

* * *

ჰოლივუდში „ოსკარის“ პრემიის ხუთგზის ხელმოცარულ წლევანდელ ლაურეატ ლეონარდო დი კაპრიოს ჯილდო მიენიჭა „ოსკარის“ პრემიის ლაურეატობის ნომინაციების ოდენობისთვის“.

* * *

– **მისმინე,** სარა, შენი ქმარი თამბაქოს ეწევა?

– როგორ არა, ოღონდ მხოლოდ სექსის შემდეგ.

– მერე, ჯანმრთელობის საქმე როგორა აქვს?

– კაი ერთი, ჩემ თავს გაფიცებ, განა წელიწადში ორი-სამი სიგარეტი რამეს უზამს?

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.215; ევრო - 2.545;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.208;
100 რუბლი - 3.343; თურქული ლირა - 0.772;
აზერბაიჯანული მანათი - 1.473;
1000 სომხური დრამი - 5.628

ამინდი 6 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +8, დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +21
თბილისი: ღამე +11, დღე +23

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE